

140
1977

საქართველო
ბიბლიოთეკა



სიმღერები

10
1977



«დაე მუდამ იყოს მზე!»

მსოფლიოს ხაზგაშლილი ქორუის ზეიზი

„დაე მუდამ იყოს მზე!“ — ამ დევიზით ჩვენს ქვეყანაში წლებადღელ ზაფხულს გაიმართა ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალი. მსოფლიოს ბავშვთა ქმობის ეს დიდი ზეიმი გაიხსნა 18 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, შემდეგ კი გავრძელდა საერთაშორისო პიონერთა ბანაკ არტეკში.

ფესტივალზე ერთმანეთს შეხვდნენ და დაუმეგობრდნენ მსოფლიოს 103

საბავშვო ორგანიზაციებს წარმომადგენლები. ხუთივე კონტინენტის ბავშვების საუბრებმა, მათმა ერთობლივმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყეს მოზარდი თაობის სოლიდარობისა და მეგობრული კავშირის განმტკიცებას.

ფესტივალის პროგრამით გაიმართა საბავშვო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საერთაშორისო კონფერენცია „ბედნიერი ბავშვობისათ-

ვის მშვიდობიან დედამიწაზე“. კონფერენციაში მონაწილეობდნენ 158 ეროვნული და 15 საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ფესტივალის მონაწილეებმა შემდეგი სიტყვებით მიმართეს მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს: „ყველაფერი იღონეთ, რათა არსად და არასდროს არ აფეთქდეს ბომბები და ჭურვები, რომ ყველა ბავშვმა იაროს სკოლაში, არ იცოდეს რა არის შიმშილი და სიღატაკე, რომ მათ არ წაართვან სამშობლო, ახლობლები, ბავშვობა, რომ მსოფლიო უკეთესი და უფრო სამართლიანი გახდეს“.

თოთხმეტი დღე ფრიალებდა ფესტივალის ალაში. ქმობისა და მეგობრობის, სოლიდარობის ამ დიდ ფორუმს არასოდეს დაივიწყებენ მისი მონაწილენი.

სიტყვას ვაძლევთ ფესტივალის დელეგატებს.

მადლობა პარტიას!

სოხუმის მე-5 საშუალო სკოლის პიონერის პატარა საჰმარაჰოლის ნაამაზი.

უდიდესი სიხარული დამეუფლა, როცა კრემლის ყრილობათა სასახლეში შევედი; დიდი სიამაყე ვიგრძენი, რომ ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უფლება მოგვანიჭეს ჩვენი საბავშვო ფესტივალი დაგვეწყო იმ შესანიშნავ დარბაზში, სადაც იმართება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე თავყრილობები.

ეს სიხარული და სიამაყე გაათქვამდა, როცა მოვისმინეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება. ამ მისალმებამ ერთხელ კიდევ გვაგაძნობინა პარტიისა და ხალხის დიდი ზრუნვა და ისიც, რომ ჩვენზე, დღევანდელ ბავშვებზე დიდად არის დამოკიდებული პლანეტის მომავალი, რომ პატარაობიდანვე უნდა ვისწავლოთ მშვიდობიანი და მეგობრული ცხოვრება, ერთად ვიბრძოლოთ ყველაზე ნათელი სურვილებისა და მისწრაფებების განხორციელებისათვის.

ნიშანდობლივია, რომ ჩვენი ფესტივალი მოეწყო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის წინ. მსოფლიოს ახალგაზრდობის ეს ზეიმი გაისად გაიმართება კუბის რესპუბლიკის დედაქალაქ ჰავანაში. ამ დიკს შესანიშნავ მოვლენას მიეძღვნა ფესტივალზე 26 ივლი-

სი, რომლის დევიზი იყო: „სალუტი XI საერთაშორისო ფესტივალს!“


დილაღრიან არტეკის ანძაზე კუბელმა პიონერმა რუდოლფ გერერომ საზეიმოდ აღმართა კუბის სამფეროვანი ალამი. კუბელ თანატოლებს მიესალმნენ მადაგასკარელი გოგონა ნერინა, ისრაელი პიონერი შლომა. შემდეგ „კოცონების მოედანზე“ გაიხსნა გამოფენა „პავანა - XI მსოფლიო ფესტივალის მასპინძელი“.

გაისმა კუბური საცეკვოს „სამბას“ მელოდია. ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩავკიდეთ და დავიწყეთ ცეკვა. ცეკვავდა ყველა - მთელი ბანაკი. კუბელმა პიონერებმა გვიამბეს თავიანთი საქმიანობის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან XI მსოფლიო ფესტივალისათვის.

ჩვენი მეგობარი ყუჟა

თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის პიონერის თამარ სანაკოვას ნამუშაო.

-- მოსკოვის ცენტრალურ ქუჩებში ხელიხელჩაკიდებულნი მივაბიჯებდით საერთაშორისო მანიფესტაციის მონაწილე ბავშვები. აქ იყვნენ ხუთივე კონტინენტის წარმომადგენლები. ყველანი სხვადასხვა ენაზე ვმღეროდით საყვარელ სიმღერას „დაე მუდამ იყოს მზე!“ მისი სიტყვები ყველასათვის ნათელი და გასაგები იყო, ვინაიდან ჩინებულად გამოხატავდა ჩვენს საერთო გულისთვის მასა და მისწრაფებას.



*** ანა იყუჟა მეგობრობა ***

ბევრი ჩემი თანატოლი გავიცანი ამ დღეს, მრავალი უცხოელი ახალი მეგობრის მისამართი შეემატა ჩემს „საფესტივალო რეგულს“ არტეკში. ერთი მათგანის შესახებ მსურს გიამბოთ. მას ყუჟა ჰქვია, გვარად — საბო. უნგრეთის პატარა ქალაქ ტატეში ცხოვრობს. მერვეკლასელია და თავისზე სამი წლით უმცროსი პიონერების რაზმს ხელმძღვანელობს. გატაცებით გვიამბობდა მათ შესახებ, თავის ლამაზ ქალაქზე, რომელიც დუნაის პირას არის გადაშლილი.

ყუჟასა და მის პიონერებს უყვართ ხელბურთის თამაში, სიმღერა, წიგნების კითხვა. ფესტივალზე წამოსვლის წინ ერთად წაუკითხავთ „როგორ იწრთობოდა ფოლადი“.

— აღფრთოვანებული ვართ პაეკა კორჩაგინის ნებისყოფით, — გვითხრა ყუჟამ, — იგი ხომ ყოველი განსაცდელის უამს უდრეკი იყო და, რაც მთავარია, ნამდვილი ადამიანის — კეთილის, ჰუმანურის, მეგობრულის განსახიერებაა.

ფესტივალის დღეგატებმა მდინარე მოსკოვზე სამდინარო ტრამვაით

ვისეირნეთ. აქ ყუჟამ მხიარული უნგრული თამაში „მატარებელი“ წამოიწყო. ყუჟასთან ერთად ჩავკიდეთ ხელი ერთმანეთს საბჭოთა ბავშვებმა, პოლონელებმა, ავსტრალიელებმა, ფრანგებმა, აფრიკელებმა...

ყუჟამ ფოტოსურათები გადაგვიღო და გვითხრა, თქვენს შესახებ ჩემს პიონერებს ვუამბობო. გაცვალეთ სამახსოვრო საჩუქრები და მისამართები. ყუჟა საბოს რაზმი ჩვენი სკოლის „ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის“ ახალი კოლექტიური მეგობარი იქნება.

ჩვენი დევიზია — სოლიდარობა

თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის პიონერის ეკა გოდეაძის ნამუშაო.

— პიონერთა რესპუბლიკური სახლის ანსამბლი „მზიური“ ფესტივალის ყურადღების ცენტრში იყო. ჩვენს სიმღერებს გატაცებით უსმენდნენ ხუთივე კონტინენტის ბავშვები, გვთხოვდნენ კიდევ გვემღერა;

13448



პიონერები

10

ოქტომბერი


1977

საპატრიოტოს აღკმ მკ.ის ლა 3. ი. ლენინის
 სახლობის პიონერთა ორგანიზაციის
 რესპუბლიკური საბჭოს
 ყოველთვიური საპაეპეო ჟურნალი

ბამოღის 1926 წლიდან

სა. კვ მკ-ის გამომცემლობა

ვ. მარქის...
 სახელმწიფო ბიბლიოთეკა
 ბათუმი



ბენშამინ
სპოკი
არტაქზი
პიონერბათან.

ჩვენ ვეხმარებოდით მელოდიის ჩაწერაში, გვიხაროდა, რომ ქართული სიმღერა მთელ პლანეტას მოეფინება. ფესტივალის თოთხმეტივე დღე დაუფიწყარია, ყოველი მათგანის შესახებ შემიძლია დაუსრულებლად ვილაპარაკო, მაგრამ მათ შორის 25 ივლისს გამოვარჩევ, რომელსაც „სოლიდარობის, მშვიდობისა და შეგობრობის დღე“ ეწოდა. იმ დილით, საზეიმო ხაზის დროს ანძაზე აღიმართა სხვადასხვა ქვეყნის პიონერთა ყელსახვევებისაგან შედგენილი ნაირფერი დროშა. დღეგატებს მოგვესალმნენ ფესტივალის საპატიო სტუმრები — ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო გმირი ეუენ ხუანი, ლაოსელი სულტიანი ვოტსა, ინდოელი შინა ხოკგო და ჩილეს ახალგაზრდობის კავშირის გენერალური მდივანი გლადის მარინი.

2

შემდეგ გაიმართა სოლიდარობის

მანიფესტაცია. მისალმება გავუგზავნეთ ჩილეს და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თანატოლებს, რომლებიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. ჩილემა პიონერმა მიგელ ინოსტროსამ, რომელიც მშობლებთან ერთად იძულებული იყო სამხედრო ფაშისტური გადატრიალების დროს სამშობლოდან გაქცეულიყო, გვიამბო:

— ჩილეში ბევრი ბავშვი უგზო-უკვლოდ გაქრა. პინოჩეტის სამხედრო ხროვამ ისინი ციხეებში ჩაპყარა და დახოცა. ერთი ჩემი მეგობარი ბიჭუნა საპყრობილეში შიმშილისაგან გარდაიცვალა. სალვადორ ალიენდეს სახალხო მთავრობის დროს ბავშვებს უფასოდ აძლევდნენ რძეს, ახლა კი მათი უმრავლესობა შიმშილობს. მეორე ჩილეელი პიონერის სახელს, რომელიც ფესტივალზე გავიცანიით,

ვერ ვასახელებ, რადგან დღეს ამან შესაძლოა ზიანი მიაყენოს მის სიცოცხლეს. ჩილეელი ყმაწვილი 11 წლისაა, უკვე წელიწადნახევარია ევროპაში ცხოვრობს. მამამისი კინოლოკუმენტალისტტა, მან მოახერხა ბევრი მრავლისმთქმელი კინოფირი გადაეცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოს მუშაკებისათვის. ჩილეელი ბიჭუნაც ყველა თავის თანატოლს უამბობს მწარე სიმართლეს ჩილეს დღევანდლობის შესახებ, მოუწოდებს მათ იბრძოლონ იმ შეუხალათიანთა წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ევროპის ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში აალორძინონ ფაშოზმი.

ჩვენ მაგრად ჩამოვართვით ხელი ჩილეელ ბიჭუნას და გამოვთქვით მტკიცე რწმენა, რომ ჩილეშიც გამარჯვებს სამართლიანობა.

კოვალეთის მე-8 საშუალო სკოლის
პროფერის ნატო ნიშარაძის ნაბე-
გობი.

— ბენჯამინ სპოკი რომ დავინახე, სიხარულისა და მოულოდნელობისა-
გან დავიბენი, თვალს არ ვუჭერებ-
დი და ასე გავიფიქრე: ნუთუ ეს არის
ის ცნობილი ამერიკელი საბავშვო
ექიმი, რომელიც ვაჟაკურად წინ
აღუდგა ამერიკის სამარცხვინო ომს
ვიეტნამში, მიტინგებზე და პრესაში
გაბედულად ილაშქრებდა ამ ომის
შესაწყვეტად?!

ასეთი ადამიანი გოლიათური აღ-
ნაგობის პიროვნებად მყავდა წარ-
მოდგენილი, ბენჯამინ სპოკი კი სა-
შუალო ტანის, ჭადარა, ჩვეულებრი-
ვი აგებულების მამაკაცი აღმოჩნდა.
მაგრამ, საკმარისი იყო რამდენიმე
სიტყვა წარმოეთქვა, რომ იმწამსვე
მივხვდი, თუ რა მტკიცე ნებისყოფა
აქვს, რა გატაცებით იბრძვის, რათა
ამერიკელ ბავშვებს, უფრო ზუსტად
— ლარიბთა შვილებს, ფერადკანიან-
ებს ცხოვრების ნორმალური პირო-

ბები ჰქონდეთ, არ აკლდეთ საკვები,
არავინ ჩაგრავედეს, არ სდევნიდნენ,
ჰქონდეთ მომავლის იმედი, შეეძლოთ
სწავლა...

ბენჯამინ სპოკმა თქვა:

— არტეკში, ფესტივალზე 32 ამე-
რიკელი ბავშვია ჩამოსული, მე კი 32
მილიონს ჩამოვიყვანდი, რათა დაინა-
ხონ, თუ რა ადვილად შეუძლიათ
საერთო ენის გამონახვა სხვადასხვა
ეროვნებისა და რასის ადამიანებს...
ჩვენი, უფროსი თაობის ვალია, ვიბ-
რძოლოთ ბავშვის პიროვნების პა-
ტივსაცემად. მთელი მსოფლიოს ბავ-
შვებმა არ უნდა იცოდნენ, თუ რა
არის შიში. ერთმა ჩემმა პატარა პა-
ციენტმა თავის დღიურში ჩაწერა:
„ომი რომ იყოს, არავინ წავა საბრ-
ძოლველად“. ჩვენ ყველამ ერთად
ყველაფერი უნდა ვავაკეთოთ, რათა
ამ ბიჭუნას სიტყვები გამართლდეს.

ბენჯამინ სპოკმა ფესტივალის დე-
ლეგატებს გვიამბო, რომ ამერიკის
მთელ რიგ შტატებში კინოთეატრებ-
ში შეხვდებით წარწერებს: „მხო-
ლოდ შავკანიანებისათვის“, „მხო-
ლოდ თეთრკანიანებისათვის“, ასეთ-
სავე წარწერებს ნახავთ სასკოლო


ავტობუსებზეც. ბევრგან ხელს უშ-
ლიან თეთრკანიანი და შავკანიანი
ბავშვების ერთად სწავლას. **შინგლირეთქა**
ასეთ ქალაქებში პროგრესული
ახალგაზრდული ორგანიზაციების ხე-
ლმძღვანელობით ბავშვები საპრო-
ტესტო დემონსტრაციებსა და გა-
ფიცვებს აწყობენ, პიკეტებს აყენე-
ბენ სკოლებსა და ავტობუსებთან.

— უნდა გვიხაროდეს, რომ ბავშ-
ვები, პლანეტის მომავალი, ადვილად
ხვდებიან სიმართლეს და ახერხებენ
საერთო ენის გამონახვას, — გვითხ-
რა გამომშვიდობებისას ჩვენი ფეს-
ტივალის საპატიო სტუმარმა — ცნო-
ბილმა ექიმმა და პედაგოგმა, ვისი
სახელიც კეთილი ნებისა და პატიო-
სანი ამერიკელების სინონიმად არის
გადაქცეული.

არტეკიდან ჩამოვიტანე ბენჯამინ
სპოკისა და მისი მეუღლის ფოტოსუ-
რათი, რომელიც ფესტივალზე არის
გადაღებული. ეს ფოტოსურათი ჩვე-
ნი „ინტერნაციონალური მეგობრო-
ბის კლუბის“ ერთ-ერთ სტენდს ამშ-
ვენებს და მოგვიწოდებს განვამტკი-
ცოთ მეგობრობა მთელი მსოფლიოს
ბავშვებთან.

პურამ ხახხაძე.

ფესტივალის
საზეიმო
დახურვა





ჩაოჩენი ყვარულებზე

ზაზა ბანელაშვილი

მოთხრობა

მხატვარი რ. ცუცქერიძე.

უპძღვნი ჩამი სოფლიდან წასულ შინამრუსკლემ
ბიჭებს, რომლებიც ბმირულად დაეცნენ სამამულო ომში.

ჯერ კიდევ დღეა პორიზონტზე სისხლისფერი მზე და თვალი ველარ გაუსწორა, ერთბაშად მოწოლილი ტკივილი გუგებში ჩაუსახლდა, მერე თვალი დაუბნელდა, ხარაჩოს რომ არ მოსწყდომოდა, ანაზდად ხელი წაატანა ხარაჩოს სვეტს და მთელი ძალით ჩააფრინდა. ჩაიკეცა უხმოდ. ცივმა ჟრუანტელმა დაუარა, ერთ წუთში ყინულივით გაუცივდა ხელ-ფეხი.

— რა მოგივიდა, ალექსავ! — ჩაესმა ხმა.
თვალის ცეცება დაიწყო, მაგრამ ვერავინ მოიძია. მერე რაღაც აჩრდილივით ბუნდოვანი, თავს წამომდგარი სილუეტი შეინშა: თანდათან სილუეტი გამოიკვეთა და ადამიანის სახე მიიღო. ახლა მასაც ადამიანური ხმა მიეცა და წყნარად უბასუხა:

— ისევ გამიმეორა თავბრუსხვევამ, ისევ მომკვეთა მუჭლი! — წამოიწია, მხრები წამომართა. — გიორგავ, შენ დაამთავრებ ამ სახლის მშენებლობას, ბესოც დაგეხმარება. არ გიგოჭირდებათ უჩემოდ. მე კი გულა-ნაბადს ავიკრავ და ჩემს გამოყრუებულ სახლს დაგუბრუნდები, ეტყობა, დრო დადგა, სხვა საქმე გამოვნახო.

ხარაჩოდან ჩამოიყვანეს და წყალი დაალევინეს. ნელ-ნელა გამოცოცხლდა, გაიღმა, გაიხუმრა კიდევაც:

— ძნელი სათქმელია, ვის უფრო შეეშინდა, მე თუ თქვენ. არც ერთს კაცის ფერი აღარ გადგვთ!

მოსუცი ხმელ-ხმელი, შვის ქვეშ ხარაჩოზე დგომისაგან გამოწრთობილი კაცი იყო. გადარაზულ წარბებსქვემოდაც ყავისფერი თვალები ჯიუტად და გაუტეხლად იმზირებოდნენ. მხრები განიერი ჰქონდა, მკლავები — მსხვილი, ხელები — კირისაგან დაღარული, დაძარღვული, ჭაღარა სქელი თმა მუჭოზე ჩამოშლოდა. თხელი ცხვირი, გამობურცული ნიკაპი და ჩხა უღვაშები უფრო მეტად უსვამდნენ ხაზს მისი ხასიათის სიმტკიცეს. ქვასავით მაგარი კაცის იერი ჰქონდა, ქვიტკირის კედელივით ჩაკირული და გამძლე ჩანდა, მაგრამ სიბერემ წაუპოტინა ხელი და, როგორც ჩანდა, ამ დღეობით შეკრული კაცის დაბზარვაც დაიწყო. კარგა ხანია ეს იგრძნო ალექსამ, მაგრამ არ შეეპუა, ფეხი არ მოიცვალა ხარაჩოდან, ხელი ოქროსი ჰქონდა და საქმეს რა დაუღვედა.

შებინდებულს ალექსა ყველას გამოეთხოვა, სამუშაოდ თუ არა სანახავად და თვალის გადასავლებად მაინც გამოვივლითო, — შეჰპირდა და შინისკენ გამოსწია.


საკუთარი ეზოს ჭიშკარი რომ შეაღო, ზამბახისა და ვარდის სუნი ეცა, ისე ვაშა, თითქოს სულოური ვინმე დახვედროდეს შინ. მიიხედ-მოიხედა, თვალი შეავლო ეზოს ბინადარ ხეებს, თითქოს პირველად ხედავსო. ძალიან მოეწონა ისინი, მოეწონა კი არა, რაღაცნაირი იმედი გაუჩნდა გულში, — რომ მართო არ არის, რომ ხეები, რომელთაც სიო აშრიალებს, მისი უკაცრიელი ოჯახის წევრები არიან. ნამეტნავად კი ეს დიდი კაკალია ეზოს სიამაყე. ისეთი ჩრდილი აქვს, ქვეშ საქორწილო სუფრას დაიტევს. ამ ფიქრმა კვლავ შვილები გაახსენა, ომში, ბრძოლის ველზე დაცემული შვილები. ამ კაკლის ქვეშ აპირებდა იმათი საქორწილო სუფრის გაშლას. მაგრამ ბედმა მწარედ დასცინა, აგერ, უკვე ოცდახუთი წელი ალოდინა. ლოდინის მდინარემ თითქოს ჩაიარა და ახლა იწრითგოდა სამუდამოდ... ამის გახსენება სულსა და გულს უფორიაქებდა.

სახლს შეხედა, ხანდახან თვეობით მიტოვებულ სახლს. როცა ვინმეს სახლს უშენებდა, ღამეებსაც იქ ათენებდა, მისი სახლი კი კარჩარაზული, მღუმარე ელოდებოდა პატრონს. როცა კარზე ჩამოკიდებულ ბოქლომს მოხსნიდა და კარს გააღებდა, შიგნიდან ნესტის სუნი გამოიჭრებოდა, ცხვირის ნესტოებს სწრაფად გაივლიდა და ფილტვებს გაუფსებდა, მთელ სხეულს გაუქვლენთავდა. ეს სუნი უყვარდა, მისი სახლის სუნი იყო.

შინ შევიდა. შუქი ჩართო. კედელზე გაკრულ ფარდაზე ჩამოკიდებულ სანადირო თოფსა და ვერცხლით მოსევადებულ ყავარჯენს მისწვდა მზერა.

თოფმა ახალგაზრდობა და ნადირობა გაახსენა, ყავარჯენმა კი ის უცნობი კაცი, ნადირისაგან ხიფათგადაყრილს ნაჭანგარი ფეხი რომ შეუხვია და შინ მიიყვანა.

ყავარჯენს მისწვდა. ორივე ხელზე დაასვენა, თვალებთან მიიტანა და, თითქოს პირველად კითხულობსო, ისე წაიკითხა:



„სახელი შენი — ძეგლია შენი“. ისევ ისე გარკვევით ეწერა, როგორც წინათ.

ეზოში ბიჭი შემოვიდა. მორიდებით აიტუზა ღია კარში.

— გამარჯობა, ალექსა პაპა!

მოსუცი სწრაფად შემობრუნდა.

— გაგიმარჯოს, თამაზ!

— ალექსა პაპა, რამდენ დღეს დარჩებით სახლში? — ყოველთვის ასე ეკითხებოდა ხოლმე ბიჭი და ახლაც ასე შეეკითხა.

— სამუდამოდ დავრჩები. — უპასუხა ბერიკაცმა.

ბიჭმა არ დაუჯერა, გაიფიქრა, მატყუებდნენ.

— ჰო! აღარასოდეს არ წავალ, დასვენება მოისურვეს ჩემმა მუხლებმა; გული კი ამიხირდა, ჯერ ადრეაო, მაგრამ სიბერე მართლა მომიკაკუნა თურმე და არა მჯეროდა...

ბიჭს გაუხარდა, რომ მოსუცი აღარ გადაიკარგებოდა მთელი კვირაობით და თვეობითაც კი. ალექსამ შეატყუო და წყენით ჰკითხა:

— რაო? გაგიხარდა?!

ბიჭი შეცბა, გაწითლდა, არ იცოდა, რა ეპასუხა.

— გაგიხარდა, გატყუბ! — ახლა ეშმაკურად მოწკაურა თვალები, — ასეა, გაგიხარდა! როგორც იქნა მოვიცალე ბჭევეთვისაც. მატარეთ ალმა-დაღმა, მაჭახუნებინეთ თოფი, მათქმევიანეთ ზღაპრები ზამთრის გრძელი ღამეებში. მოხუცს მეტი რაღა შეუძლია, დადგეს და იბაქოს და იზღაპროს. ეგებ საჭიროაო, მეტყვი, ალბათ, არა, თამაზ?!

ბიჭი ილიმებოდა. მოხუცმაც გაიღიმა და ყავარჯენი ჰაერში შემართა:

— მუხლებმა უკვე ყავარჯენი მომთხოვეს... ეს იქნება ჩემი თანამგზავრი...

ეს სიტყვები ნაღვლიანად თქვა და თავი ჩაკიდა. ბიჭს მოეჩვენა, რომ მოსუცი ბავშვივით უსუსური გახდა და შეეცოდა. ასეთი არასოდეს უნახავს იგი. რამდენჯერ უოცნებია, როცა გავიზრდები, ნეტავი ალექსა პაპასავით ახოვანი და ჯანიანი ვიყო. ხანდახან ბიჭები ნიძლაყსაც დებდნენ, ჩვენს სოფელში ყველაზე ღონიერი ალექსა პაპააო. სხვები მეტოქედ ვერავის ასახლებდნენ და ბიჭსაც უხაროდა. ისიც უხაროდა, რომ ალექსა პაპა მათი მეზობელი იყო, და, როგორც ბევრი სხვა სახლი, ასევე მათი სახლიც, თხუთმეტობედ წლის წინათ, მან ააშენა. მაშინ თამაზი ჯერ გაჩენილიც არა ყოფილა.

— არა უშავს რა! მე და შენ მოვიფიქრებთ, რა ავაშენოთ! — მხარზე ხელი დაკრა ალექსამ ბიჭს, ისევ გაიმართა წელში, წელანდელი ნაღვლი და სიძაბუნე ერთბაშად გაქრა.

— მე და შენ მოვიფიქრებთ, რა ავაშენოთ! — დიმილით გაიმეორა მოხუცმა და დაუმატა: — ახლა კი წადი, ბებიაშენს უთხარი, გვაგახშმოს!

დილა უთენია გაელვია. წამოდგა. ეზოში ჩავიდა. სახლს შემოუარა. ერთბაშად უსაქმურობამ შეაწუხა. ჯერ კიდევ გუშინ დილით იცოდა, რომ ადგებოდა თუ არა, ხარაჩოზე უნდა დამდგარიყო, ხალხი უნდა წამოემალა და დაეძახნა: ქვა და კირი არ შემომაკლოთო. დღეს კი აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა. მიხვდა, რომ სიბერემ მართლა დაბზარა მისი სხეული და ვედარასოდეს დადგებოდა ხარაჩოზე, ვედარასოდეს აღარავადა თვალით მალა კედლებს. სხვა გზა არ იყო, უნდა შეგუებოდა ასეთ ცხოვრებას, მაგრამ ძალიან ეძინა.

რატომღაც სოფელში გავალა მოუნდა.

გზაზე გავიდა. თეთრ ხიდს მიაღწა. ხიდი მისი აშენებული იყო. ათი წლის წინათ ააშენა. შეჩერდა. მოაჯირს დაეყრდნო. ატალღული ხევი თქრიალით მიექანებოდა. ხიდის ბურჯები შეათვალიერა. ვამა, ათას წელს კიდევ გაძლებსო, გაიფიქრა და გზა განაგრძო.

მერე მიხვდა, რისთვისაც გამოვიდა უთენია სოფლის გზაზე, თავისი ხელით აშენებული სახლების ნახვა ეწადა, რომ-

ლებიც მისი მარჯვენის ძეგლებად იდგნენ. სხვა სახლებში გამოარჩია ცალ-ცალკე ყველა, შეუჭვრიტინა, შეუმზირა და გულ-გულად დაშვიდებული გამობრუნდა შინისაკენ. ალმა-დაღმა მა დაქანცა, მაგრამ ნასიამოვნები და დამტკბარი მოდიოდა, თითქოს უზარმაზარი ჯავრის ტვირთი მოეხსნა ზურგიდან და მის გულში სიამაყე ჩასახლდა.

გზაზე მენახირე გამოჩნდა თავისი გრძელი კომბლითა და ბომბორა ძაღლით. ალექსა რომ დაინახა, სიხარულით მიეხალმა და ხეყწით უთხრა:

— თუ ძმა ხარ, ვერსად მოვიხვლოვ, ხან-ჭის სახლს აშენებ და ხან ვისას. ჰოდა, უფროსი ბიჭი მეყრება, დაცოლშივლდა და ძველ სახლში ვედარ ვეტყვით. ახლის აშენებას ფიქრობს. შენ უნდა აუშენო, უარი არ მითხრა.

— ვაი რომ, უარი უნდა გითხრა, — ხელები გაშალა ალექსამ, — მარტო შენ კი არა, ყველას!

— რათა, კაცო?! — გაოცდა მენახირე.

— სიბერე შემომეპარა, სიბერე. აღარ შემიძლია ხარაჩოზე დგომა.

— შენა, კაცო? — კიდევ უფრო გაოცდა მენახირე, — რა გჭირს ეგეთი, შენისთანა კაცი კიდევ გაუწევს უღელს ნიკორა კამენს. შენ სიბერე მოგერევა?

— მეც არ მეგონა და მომერია, — დიმილით თქვა ალექსამ. — ჩემი ვალი მოვიხადე, როგორც შემეძლო. ახლა ჩემს გაზრდილებს მიმართეთ, გიორგას, ბესოსა და სხვებს. ცუდად არ გამიზრდია, ყველაფერი ვასწავლე და ჩემზე უკეთესადაც აშენებენ.

— მაგას როგორ დაგიჯერებ? — მხრები აიჩეჩა მენახირემ.

— უნდა დამიჯერო!

— არა-მეთქი! — გაჯიუტდა მენახირე.

— ეგრე! — უთხრა და გზა განაგრძო.

მენახირე კი კარგახანს იდგა და სინანულით გაპყურებდა მიმავალს.

ალექსა ისევ შეჩერდა თეთრ ხიდზე. ნამგალა მერცხლებმა შეიქვლურტულეს და იქვე, ცხვირწინ რამდენიმეჯერ აუჭროლ-ჩაუჭროლეს. მოხუცს იმათი სილაღე შემურდა, გულზე ისევ მოედო დარდი და კაემანი. მთელი არსებით იგრძნო, რომ დაკარგა ძალიან დიდი და ფასდაუდებელი საუნჯე — შემოქმედის ძალა, რომელიც გამჩენმა ბუნებამ ერთხელ უბოძა, რომ მერე ისევ წაერთმია. ასე იყო ნამდვილად, დაკარგა ისეთი რამ, რასაც ვედარასოდეს დაიბრუნებდა. ასეთსავე სასოწარკვეთილებაში ჰირველად მაშინ ჩავარდა, როცა ორივე შვილის სამამულო ომში დაღუპვის ცნობა მიიღო. მაშინ ელდისაგან კინაღამ გული გაუსკდა. მერე იმით ინუგეშა თავი, შეიძლება ცნობა ტყუისო, შეიძლება რომელიმე — ან გურამა ან ბექა ცოცხალი გადარჩაო. ომის დროს და ომის შემდგომაც ხშირად ჰომხდარა ასეთი ამბავი: ეგონათ, ესა და ეს კაცი ომში დაიღუპაო, მაგრამ ის კაცი თურმე ცოცხალი იყო და იწერებოდა: აქა და აქ დავსახლდით, პარტიზანი ვიყავო, ცოლ-შვილი მყავს და ჩემზე ნუღარ იდარდებთო. მერე ჩამოდიოდა, საკუთარ კერას უბრუნდებოდა. ალექსასაც ამიტომ არ სჯეროდა სიკვდილის მაწყვებელი ქალაქისა, არა სჯეროდა, იმიტომ, რომ ასე სურდა და აგერ ოცდახუთი წელი ლოდინში გალია.

მეორედ სასოწარკვეთილებაში მაშინ ჩავარდა, როცა მეუღლე გარდაეცვალა და ხარირემივით მარტო დარჩა. სონა სასაფლაოზე რომ დამარხა და უკან ბრუნდებოდა, აღარ უნდოდა ამ უიღბლო და თითქოს დაწყევლილ სახლში დაბრუნება, მაგრამ მაინც დაბრუნდა. მაშინ მიხვდა, რომ კაცი თურმე გაჭირვებას და ჭირს ეგუება, დარდს ინელეებს და თავის ხვედრს სამარის კარამდე ატარებს. გულში კი რჩება მოურჩენელი იარა, რომელიც ხანდახან ახალი ძალით ასტივდებდა ხოლმე... ალბათ, ეს ტკივილი ადამიანური ტკივილი იყო და

სება არაფერი... თორემ რაფრ მოინდობდა, თუ ამას მარ-
თლა მოიხელდა ტყუა.

შესაბამისი პოეტიკობა ახლა დაიწყო — დღეს დღით, თუ
ბუნია ძველბუნად ვეღარ აღდა ხანობაზე, ვეღარ აღფრთ-
ხვდა ერთი ხაზე ტყუა... ამასავ ხომ მოიხელდა უყო-

— საბჭოს კარგ შედეგ თუ, სახამ თანაში შევიდოდა,
მეზობლის ბიჭი ისევ ბატონა ცხორიწი, მორიგები და
სიბიბიანო ათალიბით შესწავლიდა. გუარადა მოხსენ,
სახე თიბალით გაბარდა, მუხლებზე ჩაბერილი კაბაშიანი მუკ
ხატება სავად დამალა და ბიჭი მთ შერატკატა:

— შეშოლა, თამაზი!

ტატუსე! ნამიბინძურ!

— იმე, ბიჭო, შენა, ამ და ცხორება არ შედილობა, უსა-
ქურბანა მობინდობდა, მე ვთქვი უნდა მოვიფიქრო, ამ
ასაშურებელი საჭმე, ამ დასანატრე... არა, აშენება ჯობს,
რა თუხა უნდა, არა?

ბიჭმა თავი დაუქრა:

— ერთი საიტოები, მე და შენ მოვინახავი, რა უნდა ავი-
შვითი! — გაბოროდა დაბოშებით.

თითქმის მთლი დაე ერთად გაატარეს და ორივენი უსა-
რღადა, რომ ერთად იყვნენ.

რამდენიმე კვირის შემდეგ აღესია თითქმის დაწინარდა,
ადარ განიხიდა ისე მუყავიდ შესისხლიბიბიბული საჭმეს-
თან გაბათობდას. თუკა გულის ტკივილი ისევ დარჩა, ამას
დრო და გაბით თუ გატკურნადა მხოლოდ, ისევე როგორც
მამიაშენიდა შედეგზე და უდროოდ განდაცვლიდა შედე-
გზე უსიხლად უშეღობიოდ დაჩრთილ მიზეუს ახლა უფრო
ძალიან მოეატარა შედეგები, რადგანაც თითხონ წარსავალი იყო
და მისი ფუნქც და კარა გვარის გამგრძელებელს მოითხოვდა.
ელდა შედეგს, ამდენი ხანი იყო გახსული და მანც კლი-
და. ჯერ კიდევ ცოცხლობდა იმედო რიბოლიმი შედეგის დაბ-
რუნებისა, კიდევ ვერ გაიბრძო, რომ საკუთარ გულში ჩარ-
წინალი იმდენი მოეკლა... იმედის მოკლელი თავის შედეგებას
ასანარცხდა თითქმის სამდამოვლ.

— ამდენი წელი გავიდა და მაინც ელოდება შედეგს,
— იტყვოდა ხოლმე რიბოლიმი მუხობილი.
— გავიდა, ელოდის, ღიბობი იმედება, იმედო კი კაცის
მაცოცხლებელი ძალია. ელოდის, უბასურებად მერე მეჩო-
ბელი და ერთხავ და მყოფისაც უკუიბოდი, რომ მარტობდა
კაცი თავდაზურვილიდ მუშაობდა.

— ნუ ზიზიბო, კაცი ამდენს, ცოტა მაინც შევიძლედა თავი,
მთელი საფლავი შენი საარწი ხომ არ არის! — უხანსა ერთხ-
მე მუხობილა.

— რა ამბობს, ტიბობი, ეე რა მითხარი დაგვიწყვედა, რომ
არის მთელი შედეგი, მე იმას მივლო, მანდა ხეივანიც სახლი
დახატებდით, ვერ იყის, იქნება შეიბოშებულნი მგვა-
ნა... ამა იფიქრი, არ დასჭირდებათ საჩირო მასაბდებლი? —
უბასურს აღესქამა.

— აღესქამ სახლ-კარმი დატარდა. აქამდე თუ ეხოვარმი-
დამოსა და ვინას მისი ხელი აკლდა, ახლა ერთითად წაა-
ვივლა. ღობე გაამაგრა, ხაღბოსტანი გათიხას, ვინახი გაფურ-
ხნა და ახლადამ შეწყობა.

— წელი არ მომავალი, ცოვი წყალი! — გასასხუნდა ხი-
ლე მიხუდი ბიჭს, რიბოლიმი ვერობდა არ საიდობოდა.
თამაზი წყალს მარაბინებდა და აღესქამა ღობითვე იყიდებ-
და პირზე, წყალი გულის პირშიც ჩაედვრებად ხილვე და
ილიყობოდა:

— აი, შენ გაიხარედი, სული არ მოვიბარე!

— მოხუცი და ბიჭი ნამდევრ კაპას და მთელმთელითი შე-
სისხლიბინებენ ერთმანეთს.

— იგი, რას გეტყვი, თამაზო, — უხანსა ერთხელ აღესქამ,
— მე ძალიან სევდის ვეფირო, ისევე აშენებანსე ვეფირო...

— კვი ვეფირონი მოვიფიქრი, სახამ რიბოლიმი მოვიფიქრებ-
დი, რა უნდა ვეფირონი, მანამდე აი, ეს ვეფირო კოიბის მე
უნდა გადავანბნოთ მხება საყდელი, ცოცხალი, კვი ვინმისა,
ნუ მოვალევი, სახამა, აი, ის ელოდობი, ბირზე რომ აქვს ამო-
სული, ბატარა ხედ არ იქნება, ბატარა კოიბად. მერე ის გა-
ავარდობებს მაკის ჯილავას.

— კომისი დაგაფრეული ტეს ტატების კვიმდას ბიბიბი მუკ-
ყურის, ბიბი კირით მუხლებს და თუ სადმე ხსელი ბრტვი
ქვირდა მოიჭრეს.

— კიდევ იყიბლებს რამდენიმე წელს! — თუკა აღესქამ
და კიბისს დალოცო ბიბი ამოსულ კოიბაზე. მოფურცა,
ხელი აუკრდა-დუნდა ბიბი დაწირო. — მერე კი, ექვე დაკოი-
მდება. ამ ელოდობის მოვლა და ვარჯიშე შეუბანდა ნინოსა,
მთელი ვისაც არ შეუძლია ამის გაკეთება, ის ცოცხლებდა-
რიდა.

გაცივდა ზაფხული, ფერყვითლიდა შემოდგამა თან მიაკვა
და იმედის ბაბუა-ზამთარი. იფიქრი წვერ-უდავითა და
მორიბი იმბო, იფიქრი ხსინთია და ყინულის ღლუვა-წერ-
წელებით.

— ახლა ჩემი ნათქვამი, ახლა! — უღაუბრე ხელი ვაი-
ცხად ღუღუღობს მოკალათებულმა აღესქამ, — ავი შედარბიდი
და მოვალეოდ თქვენიობდა.

ბიბიში მიიჭრებოხილი აღესქამ ბიბებუნა ბაიბაედიფი-

ვით იჯდა ბიბები ვასტულები შესცივებდნენ. მიზეუს
ლაგებუნა ყვარჯიხი ვედი, თითქმის ეფერებოდა.

— ამ ყვარჯიხის ისტარის მოგიკვეთი! — მერე თა-
მასს მიუბრუნდა: — შენ დეშუბს შეუკეუბ, შევილი, რომ
ცხელი არ განელებს!

— ნადირობა მიყვარდა ძალიან, — დაიწყო მოხუცმა, —
რომელიღაც სახლის მშენებლობას რომ დაეგებოდაფიბოდი, მერე
ტყვი მივდილი რამდენიმე დღით. მიყვარდა ტყე-ღრენი
ხეტიალი, სიბოთაის მუხედრდა, ეს ამბავი რომ მიხედა, მუ-
დახუბისა თუ ვიჭებოდი. სანადიროდ გავდიე ტყვი. დღის
მუხეხებით მასხებს ის დღე. მივიდი დღე ვიჭებოდალდე. მაგრამ
ვეფურცეს რაფიფიცი. ზამთრის პირი იფედა, ვიცილი, რქანი
ნადირო — აწიბედი და შველი ბარბაქე იყო დაჩრდილი. მაგ-
რა, ავი ვიბითარბი, ტყვიმ ნადიროს ჭაჭანებაე არ იყო. ერთმა
არჩამა ავი ვაგებოდა თაფლი, ამ ტყვიმ, აღობა, დიდი ნადირო
გამიჩინა და ყველა ტყურმა მის კლანჭებსა და კიბოებს
არადა თაფი-მეფი. დიდი ნადირო ტვის მუფედა, ავი ერთი
სულიერს არ სურს მათთან პირისპირა შეყრა, გარდა უნდა
ნინოსიდრისა და მართლაც, დათვი არ შეუწყვეთა იქვე.

სვენი, აღობა, კლდე უშუალო ხელი, თორემ გაიჭვიკოდა.
რაკი ერთმანეთს შეეყვევით, ერთ-ერთი მივინახი უნდა გა-
წირილდები; იმან ტორბი მიმიარებდა, ტყვიფაბიცი, გავი-

ნება, მუხტი-კრეივის გასანარაფად მიდისო, ყარჯი ჩემ
ვეს წამიფედა. მეც არ დახატე. დავუბინე თორი და ვეს-
როლდე ტყეობას, სანადიროდ არ მოხვდა ტყეობა, მანინევე ხან-
დახლი ვიბინავდი და გულის მხირი ჩავეცი. ეს ყველაფერი
ვლის სისწრაფით მიხედა. მხეცემ ერთე შედეგად მუხტი-
ბარბაქეზე ბარბი კლანჭე ჩამოქრეს. ცხელი წყალი და
ლარა. ქისა ვაგებინდი დავეცილი თუთუნით ამბოტიტე ვი-
ბოლა, ამხელურს კალთა შემოხატე. ბარბაქეზე დათვი ვი-
დასამით შეგარბი, სისხლი მათც მოვიმანვე. ბეჭი სისხლი
დავამოვე. თოფი დაბიბინე და გზსზე ჩემი ვას-ვალაბიტი
გამაყვიდა, მერე უკლებელი და მჭედი აღაბარებო მასთვის. კინო
რომ მივიდი, ორი ცხენისთან კაცი მეფედა თოფე. როგორც
მერე გაფედა, ერთი გზის მშენებელი ინჟინერი იყო. ზემო სო-
ფელში სტუმრად უფოლოფი, მერე კი — გამცობილი.
მატარებელი ყვილებდა სტუმრის ორივენი მომხიბდნენ.
ჯერ ვერაგვის მიხედი, ტყავილებმა ხელხალა მემუჭრებს და
ვეფურცეს გამხსენდა. ამ კალდებამა ხელხალა ხელებოდა
შესხების ტრიალობა. მუხეცის ცხენზე და სახლი წამობიყვან-
და. ის ინჟინერი მამარქვამს ორი დათვის ტყავი არქა, ერთი
მურა, მერე მთლად მურა, კვანახიფი. ვაგებუნდა ინჟი-
ნერი, დათვისა, საფასურად რა მოეკოცა. — მაგრამ მამარქვა-
ტყვეები არქა და როგორ გამოაჩინებდა ფულს. მაშინ ის
ინჟინერმა, აი, ეს ყვარჯიხი მამარქვა და მამარქვა: სანამ ფეხი
მოიარებდა, კარც სამაზარის ვაფიფიცი. დამბოგავა სანამ უჭრ-
ის ვაფარებდა და წყვიდა. აღინდა მუხეფდრის მას მუხედ-
სანამ ფეხი მიმიჩრებოდა ამ ყვარჯიხას, მართლაც კარგი სა-
მასხური გამოჩინა. მერე კვლავზე ზამთრად დ მტორდასი სა-
სისოგარბიცი ვაფიფიცი მოიხიბდა, მუხინახე ახლა, რაც მუხედ-
სა მიიტყუნა, სიბერე მესაზე ფეხი მომიბოვა და ყვარჯიხი
იფე დაბიბინე, ისე ვამომხედა. დაილიც ამის ვაფიფიცი
და ამ სიბერის ამბიფიცილი, რა კარად ვაწუჭებო
ხედ, ტყურას და ადამიანის სასწავლებლად: სახელი მერე
— ძველი მთიწარი. ამა იფიქრი, როცა ხანხად ის ვიჭვინ-
აქ შენი სახელი ძველად მერე დაიფიცი, მერევე ძველად.
ასა, ამა, წყაიბიბოთ, თქვენი თვლით წყაიბიბოთ.

— ყვარჯიხი ხელდინ ხელში გადავიდა, ეკლდებოდათ ათ-
ვლიფიფიფინებ ბიბებს, ერთმანეთს ეყვილებოდნენ.

— ნუ იბეჭებო, ყველაინ მოსარტერის ნახება! — ამიბო-
ხინდად მოხუცი.

— კარა მას დაწინარე ბიბები, არა ერთს არ უნდოდა სახ-
ლში წასვლა. მისინი მიიზღის ხშირი სატყურები იფინებ და
ძალიან მოსწონდათ მასთან ყოფნა.

— აღესქამ ფანჯარაში გაიხედა:

— რა ვაფინებთ ამიბერე დამებს, კარგია თქვენთან ყოფ-
ნა, მაგრამ დღესვე სკოლა გელით, ვაჭირბრებთა აბერ და-
გობა, ვაჭირბრებენ დაჭაფვანებო. მან წასვლის აღობა
სამე.

— ბიბები უსახლისოდ წამდებენ, ღამე მჭვიდობის უსურ-
ვეს მიიზღის და წყვილებენ.





დარა კვირტი, როცა ჯერ მზეს მცხუნვარება აკლია და მიწას სინესტე ძვალ-რბილში აქვს გამჟღადარი.

იმ დღეს კი კარგი დარი დაიჭირა, ცაზე ღრუბლების რამდენიმე თეთრი ფთილა გადმოკიდებულიყო და ზამთრის შემდეგ მზე თითქოს პირველად გამხდარიყო ასე გულუხვი, ასე გამათბობელი და ყველას გამხარებელი.

— დაილოცა შენი გამჩენი, — იძახდა ერდოზე გადმომდგარი ალექსა და მზეს ეფიცებოდა.

— ბიჭო, თამაზ, რას ზოზინებ, არ დაგვაგვიანდეს! — გასძახა ბიჭს.

— ჯერ ადრეა, ალექსა პაპა. — გაეპასუხა ბიჭი.

— რას ამბობ, კაცო, საცაა შუადღე წამოვა, მთელი სოფელი უკვე იქ იქნება. დაგვაგვიანდება!

— ჯერ ათი საათიც არ არის! — ამშვიდებდა ბიჭი.

— სჯობია გზას გაუდგეთ, ადრე მისვლა სჯობს დავვიანებას, — არ ცხრებოდა ალექსა, — რას უშვრები მაგ ბარს, რა სჭირს ეგეთი?

— წვერი გაღუნვია და ვესწორებ!

— დროზე მორჩი, მთელი სოფელი დაიძრა უკვე იქითკენ! ჩვენც გავეშუროთ!

მართლაც იმ დილით მთელმა სოფელმა იხუვლა: შინ მოუსვლელები გმირთა ობელისკი გაეხსნათ და სამამულო მიწაში იმათ სახელზე თითო ნერგი ჩავრგათო.

ხალხი სოფლის ბოლოსკენ მიეშურებოდა. ვრცელ, მწვანე მინდორზე აღმართული მაღალი ობელისკის ირგვლივ გმირთა ბაღი უნდა გაშენებულიყო.

მოხუცი და ბიჭი ერთად მიდიოდნენ, ბიჭს მხარზე გრძელტარიანი ბარი გაედო.

მინდორი ხალხით გაიჭვდა. მოხუცს გული აუჩქროლდა, როცა ფართა და მახვილით დამშვენებულ, ზვიადად აღმართულ ობელისკს შეხედა. ახლოს ვერ მივიდა. ჯერ შორიდან უმზირა, ნაბიჯის გადადგმა გაუჭირდა.

— შორს ნუ წახვალ! — უთხრა ბიჭს, — ნერგების ჩარგვა რომ დაიწყება, მაშინვე ჩემთან გაჩნდი. ახლა კი შენს ტოლებთან მიდი, თქვენს საქმეს მიხედეთ.

თამაზი პიონერების გუნდს შეუერთდა.

ობელისკის გვერდით სტენდიდან ას ოცდაჩვიდმეტი მინმოუსვლელები გმირის სახე იმზირებოდა, ზოგი ახალგაზრდა, ზოგი — მთლად დაკაცებული, ზოგი — ჯერ კიდევ სიყრმის იერშერჩენილი.

მოხუცმა იქით გასწია, დაფასთან აიტუზა. თავისი ბიჭების ძებნა დაიწყო. უცებ ზარმა დაჰკრა, კინალამ ჩაიკეცა. ყავარჯენს მთელი სხეულით დაეყრდნო, თავი შეიმაგრა და სული მოითქვა.

ორივე ვაჟკაცი — გურამი და ბექა მომღიმარი შეპყურებდნენ მამას. მოხუცს მთელს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. რამდენჯერ აუღია მათი სურათები ხელში, მოსიყვარულებია უსიცოცხლო, ფერდაკარგულ ქაღალდს, მაგრამ აქ სულ სხვა აზრი და ძალა გამოსჭვითდა ამ სურათებიდან.

სახელდახელოდ გაკეთებული ტრიბუნიდან სკოლის დირექტორმა გალაქტიონმა მინმოუსვლელებს მოსაგონარი სიტყვა წარმოთქვა. ხალხი სუნთქვაშეკრული უსმენდა ორატორს.

— სამშობლოსათვის დაღუპულ ვაჟკაცებს მკვდარი არ ეწოდებათ, ისინი მარად ცოცხლობენ ჩვენს გულში! — დაამთავრა სიტყვა გალაქტიონმა.

აგუგუნდა სასულე ორკესტრი, მოსწავლეებმა ყველაზე მეტად შეამკეს გმირთა ობელისკი.

დიდხანს გაგრძელდა მიტინგი.

მერე ხალხი მთელს მინდორზე გაიშალა, ყველამ სანერგე ორმოების ამოთხრა დაიწყო.

— თამაზ, ბარი მომირბენინე! — გასძახა ალექსამ ბიჭს.

ბიჭმა ბარი და ორი ნერგი მოიტანა.

— ერთი გურამს, ერთი კიდევ ბექას. ესლავე ამოვთხრი ორმოებს!

— აი, შენ გაიხარე, რა თამამი ნერგები შეგირჩევია, ამათგან კარგი ხეები გაიზრდება, ფართოტოტებიანი! — გაუხარდა მოხუცს.

არ გასულა ერთი საათიც და მთელი მინდორი ნერგებით გაივსო, მოსწავლეებმა ყველა ნერგზე წარწერები ჩამოკიდეს მინმოუსვლელები გმირთა სახელებით. როცა თამაზმა იმ ორ ნერგს გურამისა და ბექას სახელებიანი ფირფიტა შეაბა, ალექსამ გულჩათხრობით ჩაიდუღუნა:

— შვილებო, ეს ნერგები გააგრძელებენ თქვენს სიცოცხლეს!

მინდორზე ბაღი გაჩნდა, მინმოუსვლელები გმირთა ბაღი. დაპბერა ნიაგმა, შეირხნენ ჯერ ისევ გაუფოთლავი, ახლადჩაყრილი ნერგები და ბაღი გაცოცხლდა...

— აკი ვთქვი, შეხედე, თამაზ, თითქოს გაცოცხლდნენ ყველანი, ესლა ამათ მოვლა-პატრონობა უნდათ, მებაღე უნდათ, რომ დაიზარდონ! — აღტყინებით თქვა მოხუცმა. მთელ ბაღს აღტაცებული მზერა მოავლო. — მე ვიქნები თქვენს მებაღე, ამას მაინც შეგძლებ, ამაზე არავინ შეტყვის უარს! — დაიძახა ალექსამ და სიხარულით ანთებული თვალები ბიჭს მიაპყრო. — მე ვიქნები მინმოუსვლელებს ბაღის მებაღე! მერე ბიჭს მოეხვია და უთხრა: — მე და შენ ვიყოთ მებაღეები...

მოხუცს ღელვისა და სიხარულისაგან მუხლი მოეკვეთა და იქვე ქვაზე ჩამოჯდა.

— ღმერთო, ეს ბაღი გამაზრდევინე და ამათ სახელზე კიდევ რამე ამაშენებინე, აი, ჩემი ბოლო ნატვრა, მეტს აღარაფერს გთხოვ! — თქვა ალექსამ და ისევ წამოდგა, წელში გასწორდა, ახალგაშენებულ ბაღს გახედა.

ისინი ორნი იდგნენ, ხალხი შინისაკენ დაძრულიყო. მზეცის კენწეროდან ათობდა დედამიწას. ზვიადად იდგა ფართა და მახვილით შეჯავშნილი ობელისკი.

მოხუცმა ღიღინი წამოიწყო დაგუდული ხმით, შიგ ნალველიც ერია და სიხარულიც, ცრემლიცა და იმედიც.

ბიჭი გაცოცხლებული უყურებდა. ალექსა თითქოს ალექსა აღარ იყო, ბრვე მოხუცი ქანდაკებასავით იდგა. და ბიჭმა იგრძნო, რომ შიგნით ცეცხლის ალივით მოედო სურვალი: მასაც ემდერა რამე, ძალიან გმირული, ომახიანი. ხმა ვერ ამოიღო, მაგრამ გულში კი მღეროდა, გრძნობდა, რომ იმ წუთში ძალიან ხმამაღლა მღეროდა, თითქოს მთა-ბარს სწვდებოდა მისი ხმა...

გმირთა ბაღს კოლმეურნეობამ მავთულის ბადე შემოავლო ღობედ და თავისი სურვილის თანახმად ბაღს ალექსა დაუყენეს მებაღედ. დილაადრიან მოდიოდა მოხუცი, ჩამოუვლიდა ნერგებს, შეათვალავებდა, რომელიმეს ხომ არ უჭირსო და უხაროდა, რომ ყველა ნერგმა ფესვი გაიდგა და ფოთოლი გამოისხა.



ბაღში აუზი გააკეთეს, წყალი გაიყვანეს და რუები გაჭრეს მოსწავლეებმა. ალექსა და თამაზი, როგორც კი შეატყობდნენ, რომ ნერგებს წყალი შემოაკლდათ, მაშინვე ხის საცობით პირდაცულ მილს გახსნიდნენ და საესე აუზიდან დარუებული წყალი ნერგებისაკენ გაეშურებოდა. ფენშიშველები იდგნენ შიგ, თოხით უმარჯვებდნენ წყალს მარჯვნივ და მარცხნივ, ალაგ-ალაგ აგუბებდნენ, რომ მიწა ღრმად გაჟღენთილიყო.

— ყველა ნერგს მიაწვდინე წყალი, შვილო. დიდი საქმე ჩაგვაბარეს, ხუმრობა ხომ არა არის, გმირთა ბაღის მეზაღეები ვართ. თავი არ შევირცხვინოთ. რამდენიმე წლის შემდეგ ეს ნერგები ხეებად იქცევიან, იმათ ჩრდილში ყოფნას არაფერი ეშვობინება. აქ აღინიშნება ყოველი მათი — გამარჯვების დღე. ასე რომ, ყველას სიამაყეა ეს ბაღი! — ეუბნებოდა მოხუცი ბიჭს და რუში გალაჯული იდგა, წყალს აქეთ-იქით გზას აძლევდა.

მოხუცი ხანდახან ჩაფიქრდებოდა ხოლმე, დამუნჯდებოდა. ეტყობოდა, რაღაც დიდი საფიქრალი გასჩენოდა. მერე ბიჭს მიუბრუნდებოდა და სინანულით ეტყოდა:

— აბა, რა კაცები ვართ, ჩვენ მაინც ვერ მოვიფიქრეთ, რა ავაშენოთ!

ბიჭს უკვირდა მოხუცის ახირება, ეგონა, რომ ალექსა პაპას აკვირებდა დასჩემდა; ეგონა, ისეთმა ნატვრამ შეიპყრო, რომელსაც ვერასოდეს აისრულებდა. ალექსა პაპა ხომ ველარასოდეს დადგებოდა ხარაჩოებზე, სადღა შესწევდა საამისო ძალა.

საღამოს, შინ რომ მოდიოდნენ, გზაჯვარედინზე, ბებერი აკაციების ქვეშ თავმოყრილ ხალხთან შედგნენ. სკოლის დირექტორი გალაქტიონი და რამდენიმე გლეხი რაღაცაზე განსარებული ლაპარაკობდნენ.

— მაშ ჯერ კიდეც მოიცადეთო?! — ეკითხებოდა სიკო გალაქტიონს.

— ჰო, ერთი წლის შემდეგ ავიშენებთო ახალ სკოლას, დავეგემათ, სათანადო თანხას გამოვყოფთ და მშენებლობას ისე დავიწყებთო! — უპასუხებდა გალაქტიონი.

— მანამდე რა ვქნათ? — იკითხა ერთმა.

— ცოტა კიდეც გაიჭირვეთო! — მიუგო გალაქტიონმა.

— აღარ ეტყვა ნაბატონარის ძველ სახლში სკოლა, აქამდე უნდა დაგესვათ ეგ საკითხი! — ცხარობდა ჭალარა ტიმოთე, — აქამდე უნდა შეგეწუხებინათ რაილმასკომიც და რაიკომიც!

— მართალს ამბობ, ტიმოთე, დავიგვიანეთ, მაგრამ რაიკომი შეგვპირდა და სულ მალე ნაბატონარის სახლის გვერდით ახალ სკოლას ავაშენებთ, დიდსა და, მრავალსართულიანს! — თქვა გალაქტიონმა და წასასვლელად შებრუნდა.

— ფხლავე რატომ ვერ დავიწყებთო სკოლის მშენებლობას? — ჩაერია დაგაში ალექსა.

— მომავალი წლის გეგმაში შეტანა და სათანადო თანხის გამოყოფა საჭირო, ისე, აბა, როგორ ავაშენებთ! — შემობრუნდა გალაქტიონი.

— ფული რომ გამოჩნდეს, მაშინვე დაიწყებენ აშენებას?

— არ მოეშვა ალექსა.

— საიდან გამოჩნდება?

— ვთქვათ და გამოჩნდა?

— ეგ ზღაპარია! — თავი გააქნია გალაქტიონმა.

— ვთქვათ და გამოჩნდა ფული, მაშინვე დაიწყებენ მშენებლობას? — ჯიუტად გაიმეორა კითხვა ალექსამ.

— აბა, ვისღა დაუცდიათ! — მხრები გაოცებით აჩინა გალაქტიონმა.

მოხუცი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, ბიჭი უკან მისდევდა. „საით მიეჩქარება?“ — ფიქრობდა ბიჭი.

მოხუცი სკოლის კარიბჭესთან შედგა, ჭიშკარი შეათვალიერა, ახედ-დახედა, თითქოს პირველად ხედავსო. ჭიშკარი რკინისაა, თავმოსართავიანი, ორი დიდი კარი აქვს და ერთიც

პატარა. პატარა კარი დღისით ყოველთვის ღიაა. ეზოში შეაბიჯა. ბიჭიც შეჰყვია. ეზო ხასხასაა, მწვანინანი. მარცხნივ აწოწილი კვიპაროსები დგანან, მათ გვერდში ჯუჯა აკაციის ხე ამოსდგომია. მარჯვნივ მოშვლებილი მდელოა, ალაგ-ალაგ დაბილიკებული.

უფრო წინ წავიდა, ეზოს სიღრმეში. გაჩერდა, თვალი მოწკურა, ჩამავალი მხე თვალს სჭრიდა და შუბლზე ხელი მოიჩრდილა, სკოლის თეთრი, ორსართულიანი შენობა აზომდაზომა, სიგრძე-სიგანეს გაადევნა თვალი. თუნუქის სახურავზე წამოჩივნილი სამერცხლესაც შეუჭვრიტინა. მერე პატარა, მოკობწიავებულ ერდოზე შეაჩერა მზერა, რომელსედაც სკოლის ზარი ორ სვეტზე გადებულ რკინის ძელზე კკიდა.

კიდევ წინ წავიდა, კედლები დაზვერა, სადმე დაბზარული ხომ არ არისო, გარშემო შემოუარა. ბიჭიც უკან დასდევდა, ხმას არ იღებდა, გაოცებული შეჰყურებდა მოხუცს, ბოლოს, ალექსა შედგა და ბიჭს მიუბრუნდა:

— თამაზ ხომ ხედავ, გამოჩნდა, რაც უნდა ავაშენოთ.

ყავარჯენს დაეყრდნო და განაგრძო:

— ეხლა მე და შენ უნდა მოვიფიქროთ, რით ავაშენოთ და, როგორ ავაშენოთ! წამოდი ჩემთან!

ისინი სახლისაკენ გაეშურნენ.

ბინდი ჩამოაწვა არემარეს. დიდ კაკლის ხეს სუსტი ქარი აშრიალედა. მოხუცი და ბიჭი ერდოზე ისხდნენ. ალექსა გულაფორიაქებული იყო. იმდენი რამის თქმა სურდა, რომ ეთბაშად მოზღვავებული ფიქრებიდან ვერცერთი ვერ გამოაცალკევა, ვერ განასკვა სათქმელი აზრი. ბიჭი კი მოსასმენად მზად იყო და მოუთმენლად ელოდა, რას იტყოდა მოხუცი.

— პატარა რომ ვიყავი, აი, შენხელა, — დაიწყო მოხუცმა, — ოქრო შაქროს გაცნობაზე და იმის მოწაფობაზე ვოცნებობდი. ეს ოქრო შაქრო კალატოზი იყო, სახლების მშენებელი, ხალხმაც სიყვარულით ოქრო შაქრო შეარქვა. მერე ეს ოცნება ამისრულდა. როცა წამოვიზარდე, ოქრო შაქრომ მოწაფედ ამიყვანა, მასწავლა თავისი ხელობა და ბოლოს გზა დამილოცა: იმდენი სახლი აგეშენებინოს, რამდენიც თავზე თმის ბეწვი გაქვსო, გახსოვდეს, ვისი მოწაფეც იყავი და სახელი არ შემირცხვინოთ. ჰოდა, ჩემი დღენი სულ სახლებს ვაშენებდი, ვაშენებდი და ვაშენებდი. მეგონა, ამას დასასრული არ ექნებოდა და, როგორც ხედავ, დასრულდა. არა, მეგონა, რომ დასრულდა და, რა კარგია, რომ თურმე არ დასრულებულა...

მოხუცი წამოდგა, საკინძე გაიხსნა და უფრო მოხერხებულად დაჯდა ტახტზე.

— ჰო, მეგონა, რომ დასრულდა, — განაგრძო საუბარი, — მაგრამ, თურმე, არ დასრულებულა...

მოხუცს სახე მოექუშა, თვალები უფრო ჩაუქვევრდა და ნალველით სავსე ხმით თქვა:

— როცა ჩემი ბიჭები ომიდან აღარ დამიბრუნდნენ, აი, მაშინაც მეგონა, რომ ჩემთვის ყველაფერი დასრულდა, მაგრამ ასეთ დროს, ცხოვრება გაიძულებს, გაიძულებს კი არა, თუ კაცი გქვია, ვიღაცას გაშვილებინებს. მე კაცის შვილიდან ვერავინ ვიშვილე, არ ვიცი რატომ, მაგრამ, სამაგიეროდ, ქვა ვიშვილე, კირი და ქვიშა ვიშვილე, ჩემი აშენებული სახლები ვიშვილე. იმათ რომ ვაშენებდი, მეგონა, რომ შვილებსა ვზრდიდი...

მოხუცს ყველაფრის გახსენება უჭირდა, ცდილობდა მოკლედ ეთქვა სათქმელი, მაგრამ ვერ ახერხებდა.

— ჰოდა, ეს იყო, რომ მაცოცხლებდა, — განაგრძო ისევ.

— ახლა კიდევ, სიბერემ დამჯაბნა, გული კი მეუბნება, ისევ ადი ხარაზოზეო, მაგრამ მუსლი აღარ მერჩის, ჯანი აღარ მომდევს. ჰოდა, ისევ მეგონა, რომ ყველაფერი დასრულდა ჩემ-

თვის, მაგრამ, არა, შვილო, არა! აი, გმირთა ბალის მებაღებ-ბა ვიკისრე, იქ ჩარგული ყველა ნურგი ვიშვილე, იმათზე უნდა ვიზრუნო, უნდა დავზარდო შვილებივით, ესაა პატარა საქმე როდია!

მოხუცმა ცოტა ხანს შეისვენა და ისევ ჩაფიქრდა.

— ეხლა სწორედ იქამდე მივედი, რის გამხელაც მსურდა!

— თქვა და წამოდგა.

ოთახში შევიდა, შუქი ჩართო და კარგა ხანს ეძებდა რა-დაცას, დიდხანს აფათურა ხელები განჯინაში.

— კინალამ გულზე არ შემომეყარა ახალი დარდი, — თქვა, როცა უკან დაბრუნდა, — ძლივსლა მოვეძებნე, გულმა-ვიწყობაც დამეწყო.

მოხუცს ხელში პატარა წიგნაკი ეჭირა.

— აბა, გასინჯე! — მიაწოდა ბიჭს.

ბიჭმა გამოართვა წიგნაკი და გადაფურცლა.

— თუ ხვდები, რა არის? — ჰკითხა მოხუცმა.

— შემხახველი სალაროს წიგნაკია.

— აი, გაიხარე, მიხვდი?! შიგ რამდენი წერია? აბა, კარგად დააკვირდი და მიპასუხე.

— ოცდახუთი ათას ექვსასი მანეთი! — ბიჭმა გაოცებით შეხედა.

— რა იყო? გაგიკვირდა, საიდან მაქვს?! ძალიან ბევრია, არა?

ბიჭმა თავი დაუქნია.

— ხომ ეყოფა სკოლის აშენებას? ჰა?

ბიჭმა ისევ დაუქნია თავი.

— ჰოდა, ამ ფულით სკოლა მინდა ავაშენო!

ბიჭს ყოველთვის მოსწონდა მოხუცი, მაგრამ იმ წუთში ალექსა ზებუნებრივ ადამიანად გადაიქცა, ისეთ ადამიანად, როგორც არასოდეს ენახა, მარტო ოცნებაში თუ წარმოდგენდა, ან კიდევ წიგნში თუ წაეკითხა.

— ამ დღეს რახანია, ველოდი, ველოდი და დადგა. შენც იცო, შვილები არ დამიბრუნდნენ ომიდან! იმათ სახელებზე ვაგროვებდი ფულს, მეგონა, რომელიმე მაინც აუცილებლად დაბრუნდებოდა. მინდოდა, დიდი ღირსი გადამეხადა, სავსე სახლი დამეხვედრებინა... არ დამიბრუნდა არც ერთი... მერე ვფიქრობდი, რა ვუყო ამდენ ფულს-მეთქი და დღემდე ვერ გადამეწყვიტა. ახლა კი გადაწყდა, სკოლა მინდა ავუშენო სოფელს, მთელი სოფლის გოგო-ბიჭები მინდა ვიშვილო.

იმათ სახელებს და ყველა შინმოუსვლელ გმირთა სახელებს ძეგლად უდგას ობელისკი და გმირთა ბაღი, ეს სკოლაც იმათი სახელობისა იყოს, მათი ძეგლი იყოს... — დაასრულა თავისი სათქმელი მოხუცმა და გულზე მოეშვა, შვებით ამოისუნთქა.

კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ.

დამე იწყებოდა. ნელი სიო შემოიჭრებოდა ხოლმე ეზოში, ააშრიალედა კაკლისა და კომშის ხეებს.

მერცხლები შემოფრინდნენ აივანზე, ჭერში გაკეთებულ ბუდეებს მიაშურეს, აჭყლოპინდნენ ბარტყები.

— წადი, შვილო, შენ მაინც ნუ გატეხავ თეთრად ღამეს, დილაზე, ადრინადად მე გაგაღვიძებ, — უთხრა მოხუცმა ბიჭს.

— აქ დავიძინებ! — სთხოვა ბიჭმა.

— კარგი, აგერ, მეორე ტახტზე დაიგე ლოგინი და დაიძინე! — დაეთანხმა ალექსა.

მოხუცი ტახტზე მიწვა.

შუალამე რომ გადავიდა, ორივეს მხოლოდ მაშინდა ჩათვლინა. მამლის პირველსავე ყვილზე მოხუცს გამოეღვიძა, ტანთ ჩაიცვა, აივანზე გამოვიდა, მაგრამ ბიჭი ჯერ არ გააღვიძა, გათენებას დაელოდა.

მზის ამოსვლის წინ კი დაუძახა:

— ადე, შვილო, თამაზ, სოფლის საბჭოში ჩავიდეთ, ვუთხრათ ხალხს ჩვენი სათქმელი...



საქართველი

მთავრობის

1907 წლის გაზაფხულზე ფოთში ვალერიან გუნიას დასი ჩამოვიდა. დასს თან ჩამოჰყვენენ ვაჟა-ფშაველა და იოსებ გრიშაშვილი. პირველ საღამოს გაიმართა გიორგი სააკაძის ლიტერატურული გასამართლება. გასამართლების შემდეგ შედგა ვაჟა-ფშაველასა და იოსებ გრიშაშვილის გამოსვლა. საღამოები და დასის წარმოდგენები იმართებოდა ფოთის საქალაქო სასწავლებლის დიდ დარბაზში. ქალაქში ხმა გავარდა, ვაჟა-ფშაველა ჩამოვიდა და სასწავლებელს დიდძალი ხალხი მიაწყდა. პირველ საღამოს რამდენიმე მოწაფემ შევეძლით დარბაზში შესვლა. წინა დღით კი ერთმა მასწავლებელმა, ლავრენტი წულაძემ, ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფია და შემოქმედება გაგვაცნო. გასამართლების შემდეგ, დასის ხელმძღვანელმა, ვალერიან გუნია მამოაცხადა:

— ბატონებო! ლექსს იტყვის ჩვენი საყვარელი პოეტი ვაჟა-ფშაველაო.

ვაჟა რომ გამოჩნდა, დარბაზი ფეხზე ადგა. დიდ ხანს არ შეწყვეტილა ტაში. ვაკვირდებოდი ვაჟას. აი, როგორი იყო: ეცვა რუხი ფერის ჩოხა, შავი ახალუხი, მაღალი ჩექმები. ქამარზე ეკიდა დიდი და განიერი ხანჯალი. ამ ხანჯალმა ყველა გააკვირვა, რადგან ჩვენში — გურია-სამეგრელოში ასეთი ზომის ხანჯალს არ ატარებდნენ. ჩვენი სასწავლებლის მოწაფეები კი სულ გურია-სამეგრელოდან ვიყავით. მარცხენა ხელი ვაჟას ხანჯალს ვადაზე ედო, მარჯვენა ჩამოშვებული ჰქონდა. შავი თმა შუბლზე ოდნავ ჩამოშლიდა. წარბები სქელი ჰქონდა, წვერი — ხშირი და მოკლე, აღნაგობა — ძლიერი და ვაჟაკცური. მე გამაკვირვა მისმა თვალებმა. სქელ წარბებს ქვემოდას სხივიან-ნაპერწყლიანი, ფართოდ გახედილი თვალები იყურებოდნენ, თითქოს შენც გამწვანდნენ და შორსაც იხედებოდნენ...

როცა ტაში დაცხრა, ვაჟამ წაიკითხა „სიტყვა ეული“. წაიკითხა უბრალოდ. სცენური მიხვრა-მოხვრის გარეშე. მეორე ლექსი რომ წაიკითხა, ისევ უბრალოდ წაიკითხა, ოღონდ მის კითხვაში დიდი ძალა და სიტყვის ჭედურობა იგრძნობოდა. მეორე ლექსის შემდეგ ხალხმა შესძახა: „არწივი!“, „არწივი“ წაგვიკითხეო.

ვაჟა უკვე გასული იყო სცენიდან, მაგრამ ხალხი არა და არ ცხრებოდა. ვაჟა გამოვიდა. ისევ დინჯად დადგა რამბასთან. მხრები შეარხია. მარცხენა ხელით ხანჯალი შეაქანა და დაიწყო — მკვეთრად, მარცვალ-მარცვალ. მისი ყოველი სიტყვა ზარის რეკვასავით გაისმოდა:

„არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა“...

მერე ხმას დარდი და სინანული ჩააყოლა:

„ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ველარა დგებოდა“...

რიგებში აქა-იქ ოხვრა გაისმა. ცხადი იყო რომ დარბაზმა იგრძნო და დაინახა დაჭრილი არწივი. მე ფოთში არწივი არ მენახა, მაგრამ ვიცოდი, რომ ის ფრინველთა მეფე იყო, ამაყი, ძლიერი და ლამაზი. ყვავები და ყორნები კი ბევრი მენახა და წარმომიდგა ამ სურათის საშინელება, მაგრამ ისიც წარმოვიდგინე, რაც მასწავლებელმა გვითხრა:

— ბიჭებო, იცოდეთ: ვაჟა რომ წაიკითხავს ლექსს, რომელსაც ჰქვია „არწივი“, ის არწივი უბრალო ფრინველი როდია... ის არწივი ჩვენი სამშობლოა... საქართველოა...
ჰოდა, ახლა, როცა დარბაზში ოხვრა გაისმა, ცხადი გახდა, რომ ხალხმა არწივში დაჭრილი სამშობლო დაინახა.

ხოლო, როცა ვაჟამ შესძახა:

„ვაჰ, დედას თქვენსა, ყორნებო!
ცუდ დროს ჩაგიგადათ ხელადა!“

მარჯვენა ხელი მაღლა ასწია, მარცხენათი ხანჯალი შეაქანა და ყორნებს დაემუქრა, მე მომეჩვენა, თითქოს მაღლა, ძალიან მაღლა აიწია იგი თვითონაც და მთელი დარბაზიც მის აწეულ მარჯვენას აჰყვა. შემდეგ წამით, სულ ერთი წამით, — სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს ის დაჭრილი არწივი იქ იყო იმ წუთში...

ვაჟას ეტყობოდა, რომ ეს ლექსი მისთვის მარტო ლექსი არ იყო...

და ხალხსაც, ხალხსაც ეტყობოდა, რომ ეს ლექსი მისთვის არ იყო მარტო ლექსი...

წამიერი სიჩუმის შემდეგ ატყდა ტაშის გრიალი. ვაჟა სცენიდან გავიდა. მაგრამ ხალხი არ წყნარდებოდა. მოითხოვდა განმეორებას. ვაჟამ გაიმეორა. და ხალხმა ისევ ფეხზე ადგომით მოუსმინა.

დაჭრილ არწივში ყველა ხედავდა დაჭრილ სამშობლოს... ჩვენი კი, ბავშვებმა, „არწივი“ მეორე დღესვე ზეპირად ვისწავლეთ...

კომუნისი «მამოხანი 60 რეჟის გულეკუი»



გული იხსება

სიბოცხლის ჩენებით

1917 წელი... ოქტომბერი... „ავრო-რას“ ქუხილმა შეაჯანჯარა ძველი სამყარო. შეიღწა სამთრის სასახლის კარები. ამაყად, ძირსდაუხრელად აფრიალდა წითელი დროშა. ხალხის ზვირთებს ვეღარ იტევდნენ ქუჩები.

- გაუმარჯოს რევოლუციას!
- გაუმარჯოს ლენინს!
- ვაშა თავისუფლებას!
- ვაშა პროლეტარიატს! — გაისმოდა გულიდან ამოხეთქილი შეძახილები.

ასე დაიწყო ახალი ერა. მას შემდეგ 60 წელმა გაიარა. საბჭოეთმა მხრები გაშალა, გაიფურჩქნა, აყვავდა... და ახლა რა ვრცელი და საყვარელია ჩვენი სამშობლოს ჩუქურთმასავით ჩაწნულ-ჩაგრეხილი მისი ლამაზი მთა-ველი. მძლავრია შენი მაჯისცემა, მამულო

სიცოცხლო! ფრთაშესხმულია წინაპართა სანუკვარი ოცნება — თავისუფლების მზე დაგნათის კიდით კიდევ. გვაღალღებს, გვადფრთოვანებს ჩვენი დიადი ხანა. ჯერ კიდევ ათეულობით წლების წინ გალაკტიონიც ხომ ამას ამბობდა:

მას ვერვინ ეტყვის: დადექ, შეჩერდი!
 ძვერს ყველა სიმი დღეს, როგორც ერთი.
 თვალწარშტაცია ახალი ხანა
 და ისტორიის ახალი გვერდი.

და ისტორიის ამ ახალ გვერდში მოძმე რესპუბლიკების მიღწევებთან ერთად, ოქროს ასოებით ჩაიწერა საქართველოს მშრომელთა საგმირო საქმეებიც. საქართველო! მარად ტურფა, სათაყვანო!..

აქ სამთარშიაც გაზაფხულიაო, ამბობენ პოეტები. წელგამართული, ბედნიერნი არიან მისი მკვიდრნი — გამრ-

ჯე, გულადი და პურადი ადამიანები, დაულავი შრომით სვავსა და დოვლათს რომ მატებენ ჩვენს თვალწინდენ ქვეყანას, თავდადებით რომ იბრძვიან პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეათე ხუთწლედის ამოცანათა ვადამდე შესრულებისათვის.

ივსება გული უშრეტი სინათლითა და სიამაყით, ნათელი მომავლის ურყევი რწმენით...

მთელი ეს სიკეთე კი ოქტომბრის რევოლუციის წყალობითაა, დიდი ლენინის, მშობლიური კომუნისტური პარტიის სიბრძნის შედეგია.

დიადი ოქტომბერია
 ლენინის შუქით გამოზარი,
 მუშურ-გლეხური მარჯვენით
 აყვავებულა მთა-ბარი.

ლია ხორბალაძე,
 დმანისის რაიონის გომარეთის საშუალო სკოლა, IX კლასი.

ჩვეი გზაკი

მიყვარს, როცა მტკვარი
 შლეგიანად შფოთავს,
 ან დამცხრალი როცა
 ციალებს და თრთოლავს.

მიყვარს, როცა ქარი
 აბიბინებს ბალახს,
 როცა მიწა კრძალვით
 ცას გამოსთხოვს ცვარ-ნამს.

მიყვარს ველზე მდგარი,
 მუდამ მფრთხალი შველი
 და ცადაწვდილ კლდეზე
 ქაფიანი ჩქერი...

მიყვარს გუმბათებზე
 როცა ნისლი ბოლავს;
 მიყვარს ვარძია და
 ჩემი კოხტავორა.

გენია მაღრაძე,
 ასპინძის რაიონის ოშორის საშუალო
 სკოლა, VIII კლასი.



რეპოლუციის დღეები.

მერაბ შავშარაძე,
 გურიანთის საშუალო სკოლა, VIII კლასი.



ელექტროსადგური.
მალხაზ ჩიტაძე,



ხულოს რაიონის ა. ქონიძის
სახელობის საშუალო სკოლა,
IX კლასი.

„სამშობლო გაგიზრდის“

გუძღვნი ომში დაღუპული მებრძოლის
ალექსანდრე ელიზბარაშვილის ხსოვნას.

1941 წლის ზაფხული იყო.

ალექსანდრე ელიზბარაშვილმა
ომის უბედურება პირველად მახაჩ-
ყალის მიდამოებთან იგრძნო. გზები
და ველები სავსე იყო ლტოლვილე-
ბით — მოხუცებით, ქალებითა და
ბავშვებით; მიერეკებოდნენ ცხვარს.
საქონელს... კიდევ უფრო მეტი შუ-
რისძიებით აივსო ამ ამბის მხილვე-
ლი.

... ერთ დღეს, დიდი ბრძოლის
შემდეგ დაღლილი მეომრები ისვე-
ნებდნენ. საველე ფოსტამ ალექსან-
დრეს სოფელ დვირიდან გაგზავნილი
წერილი მიუტანა. ალექსანდრემ გა-
დაიკითხა წერილი და სიხარულით
შესძახა:

— ბიჭებო, მომილოცეთ, გოგო
მყავს! — ეს ისე ხმამაღლა იყო ნათ-
ქვამი, რომ გერმანელებიც კი გაიგო-
ნებდნენ...

1942 წელს ბრძოლა კავკასიის მი-
სადგომებთან გაჩაღდა. გერმანელები
წინ მოიწვედნენ. ჩვენი ჯარისკაცები
მედგრად დაუხვდნენ მათ. გადამწყ-
ვეტი ბრძოლა ბაქსანის ხეობაში
მოხდა. წითელარმიელები შეუპოვ-
რად უტევდნენ მომხდურთ. მტერი
იძულებული გახდა უკან დაეხია.
ალექსანდრე თანამებრძოლებთან
ერთად წინ მიიწვედა. უცბად კივილი
მოესმა. ბრძოლის ხაზს თვალი გა-
დაავლო. შორიასლო დაინახა ქალი,
რომელსაც ხელში პატარა ბავშვი
ეჭირა და მათკენ მორბოდა. უკან

თუშეთის მთები.

მანანა თავზარიძე,
ქვემო აღვანის საშუალო
სკოლა, IV კლასი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანელების ტანკი მოსდევდა და
თითქოს განგებ არ ეწეოდა.

გააფთრებული ალექსანდრე ქა-
ლისკენ გაიქცა. ღონემიხდილ დედას
ბავშვი გულში ჩაეხუტებინა, უცე-
რად იგი ძირს დაეცა. ტანკი თანდა-
თან ახლოვდებოდა.

ალექსანდრე თავგანწირულად წინ
გაიჭრა და ფაშისტების ტანკს ყუმ-
ბარა ესროლა. ტანკი ალში გაეხვია.
დედა-შვილი გადარჩა, მაგრამ ჰაერ-
ში ატყორცნილი ალექსანდრე შორს
დაეცა და მკერდიდან სისხლი წამო-
უვიდა. თვალწინ ობლად დარჩენილი

გოგონა წარმოუდგა, რომელიც მა-
მას ველარასოდეს ნახავდა. „ვინ გა-
მიზრდის შვილს?“ — ძლივს ამოთ-
ქვა სამი სიტყვა ალექსანდრემ და
წამოწევას შეეცადა, მაგრამ ველარ
წამოვდა...

„სამშობლო გაგიზრდის, სამშობ-
ლო გაგიზრდის!“ — ჩაესმოდა, ალ-
ბათ, იღუმალი ხმა სიცოცხლის უკა-
ნასკენელ წამებში.

თამარ გოგოლაძე,
ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლა-
ინტერნატის მოსწავლე.





ბივი ჭიჭინაჰე

ქვეალი

ცა განათლა
დაბინდული.
— ბუხ! — გავარდა
საღლაც მეხი.

შეუღონდა
კურდღელს გული,
ზღარბი გარბის
კისრისტეხით.
ფულუროში
შეხტა ციყვი,
შიშით თავზე
გირჩებს იყრის.
სანაპირო გააყრუა
ბაყაყების ყიყი-ყიყიმ.

ავდარია
საშინელი,
კივის ტურა,
ულრანს იკლებს.
ლომი, ვეფხვი,
დათვი, მგელი
იჩქარიან
ბუნაგისკენ.

ირემლადი
რადღ დელავს,
რატომ უფრთხის
ავდარს ასე?!
მას ხომ ორი
ვებერთელა
მეხამრიდი
ადგას თავზე.



წუცქიხი

იქეთური,
აქეთური,
ცეცხლზე ჯაჭვის
საკიდური.
საკიდურზე კარდალა,
კარდალაში — თათარა.
აქეთ ცალყურა ტურა ზის,
იქით — მელა ცალთვალა.
იქვე დათუნიაც გორავს,
ტკბილი მაჭრით დამთვრალა...
ხეზე ყვავი შემოსკუბდა,
ყვანჩალია — ყრანტალა:
— მეც მაგემეთ ეგ თათარა,
ერთი ბეწო, პატარა!
მელაკუდამ უარი თქვა,

დათემაც არ გაატანა.
— აქმა, მოგეწყდი თავიდანო! —
ტურამ დაუტატანა.
— რადგან ასე წუწკები ხართ, —
დაემუქრა ყრანტალა,
— აღარავის არ გერგებათ,
სულ მე შეგვჯამ თათარას! —
ჩააფრინდა ნისკარტით და
გაიტაცა კარდალა.




ავთანდილ გუაგენიძე

შეჯიბრა

შეჯიბრია სირბილში:
ვინ აჯობებს ვის?
კაკლის ხესთან ვინც მიასწრებს —
გაიმარჯვებს ის.
აბა, ჩქარა,
მეტი ძალა
მოიკრიბოს ყველამ...
გიამ ვანოს გადაუსწრო,
ვინ მიიწვეს გელა.
არა, გელა კი არ მირბის,
ისარივით ჰქრის,
ლამის ვიას დაწვიოს,
ხათრი არ აქვს ძმის...
ერთ რამეზე ფიქრობს ყველა:
ვინ აჯობებს ვის?..

ნეტა ერთი მაცოდინა,
რაზე ფიქრობს ის.
ბიჭებს ტანი უშავდებათ
ბიჭებს ოფლი სდის,
კუნთებს ძალა ემატება



ამ ცხრათვალა მზის.
ის აივანს არ შორდებ...
არ ჩამოდის ძირს...
ეზოში კი — შეჯიბრია:
ვინ გაასწრებს ვის.

ქვეალი ნასპრა

ლაშქრობებში წამიყვანა,
ტყეში ღამე მათევიანა,
მდინარეში მამანავა,
ფეხშიშველი მარბენინა;
მზისათვის და მთვარისათვის
შიგ თვალეში მაცქერინა,
ყვავილები მაკრეფინა,
სათიბები მაცვლიანა;
მწვერვალეზე ამიყვანა,
ველ-მინდვრები მათელიანა, —
საქართველოს საკადრისი
სიმღერები მათქმევიანა.

მხატვარი პ. ფოცხიშვილი.

ზნაოჯის ანჯანი

პაპრიოვიზმი

და

მოქალაქეობრიობა

პატრიოტიზმი — საყოფაცხოვრებო სიყვარული, მოვალეობა ხალხისათვის თავდადება, ყოველთვის საყოფაცხოვრებო ინტერესების დასაცავად, მისთვის უმჯობესი მსხვერპლის გასაღებად.

არსებობს ერთი სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ადამიანის, შესაძლოა, ყველაზე დიად და ძვირფას საკუთარებას. იგი ამბობს სიტყვაა, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში არ იხმარება, ეს წმინდათაწმინდა სიტყვა ხბადება გულში და ადამიანი მას წარმოთქვამს მხოლოდ და მხოლოდ დიად, საზეიმო წუთებში.

„სამშობლოსათვის!“ ეს უკანასკნელი სიტყვაა, რომლითაც ჭაბუკი მეომარი საკუთარი მკერდით ფარავს მტრის ამბრაზურას.

„სამშობლოს შეუძლია თავისი ჭაბუკებისა და ქალიშვილების იმედი ჰქონდეს“. — ირწმუნებთან შორეულ მშენებლობებზე მიმავალი კომკავშირელები.

„მზად ვართ შევასრულოთ სამშობლოს ყოველგვარი დავალება! — ამთავრებენ პატაკს კოსმონავტები, როცა ურთულესი ფრენის შემდეგ დედამიწაზე ბრუნდებიან.

არ შეიძლება პატრიოტი იყო და არ გრძობდე სისხლსორცეულ კავშირს მშობლიურ მიწასთან, არ იცოდე, ანდა დაივიწყო, როგორ უყვარდათ იგი შენს წინაპრებს, როგორ უფრთხილდებოდნენ, როგორ ამბობდნენ და მხოლოდ ეამბნათ მთაწმინდობისათვის ამ სიყვარულზე, რომელსაც სამშობლოსთან ერთად უანდერძებდნენ მათ.

ყველა ჩვენთაგანის გულში დღესაც წმინდა ლამპრად ანთია ახალგაზრდა პუშკინის მეზნებარე მოწოდება, რომლითაც იგი თავის თანამედროვეს მიმართავდა.

და სანამ შვების სინათლით ვიწვით და სინდისს გული ცოცხლად ინახავს, ჩვენ ჩვენს სამშობლოს შევიწრავთ, ვიცით, ძვირფას და წმინდა სულიერ ზრახვას.*

პატრიოტიზმი — გრძობაა და არა გონების ცივი განსჯის შედეგი. ამ მხურვალე გრძობა-

* თარგმანი პ. იაშვილისა.



რა იმპერიალიზმის გაქვვი ყველაზე სუსტად გამოვლინდა, „მამხანიათა და ყუმბარით გაანადგურა თერთვარდიელები, სახნისით და ტრაქტორით სძლია შიმშილს, იგი იზრდებოდა და მტკიცდებოდა სუთწლებების მანძილზე. „სიჭაბუკის მიწის“ მომღერალმა ვლადიმერ მაიკოვსკიმ პოემაში „კარგია“ ოკეანის იქითა მილიონერებს ასეთი სიტყვებით მიმართა:

- თქვენ,
- რომ მიგავით
- გასუქებულ
- ღორებს ცხვირ-პირი,
- ფართო თეფშებით
- რომ გაქვთ სახე
- დამრგვალებული,
- გალატაკებულ
- ჩვენი მხართ
- მთელ ხმით გიყვიროთ:
- ეს ჩემი მხარე,
- ჩემი მიწა
- მე შეყვარს გულით!
- შესაძლო არი
- დაივიწყო
- როგორ და როდის
- იზრდიდი მუცელს,
- სუქდებოდი,
- ჭამდი და სვამდი,
- მაგრამ იმ მიწას,
- რომელთანაც
- შენ შიმშილობდი,
- ვინ დაივიწყებ
- თვით სიკვდილამდე*.

განსაკუთრებული სიმძაფრით საბჭოთა პატრიოტიზმმა დიდი სამამულო ომის წლებში იჩინა თავი, როდესაც ჩვენმა ხალხმა ფაშისმთან სამყედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დაიცვა მთელი კაცობრიობის მოწინავე იდეალები.

რუსი ჯარისკაცებისაგან შემქვიდრეობით მიღებული „პატრიოტიზმის ფართული სიტბო“ ყოველ საბჭოთა ადამიანში ნაღვერდალივით ღუოდა.


* თარგმანი გრ. ცეცხლადისა.

ბას გული ბადებს და ასაზრდობებს. სამშობლოს სიყვარულით შთაგონებულ არა ერთ სტრიქონს ვპოულობთ ლერმონტოვის, ოსტროვსკის, ტურგენევის, ნეკრასოვის, დოსტოევის, ჩეხოვის და სხვათა შემოქმედებაში.

იმავე მე-19 საუკუნეში მწერლები უჩვენებდნენ ხალხს, რომ არსებობს ცრუპატრიოტიზმიც. გავიხსენოთ თუნდაც ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, დიდგვაროვანთა სალონებში არისტოკრატების მაღალფარდოვანი, მყვირალა ფრაზები. თავმდაბალი, ხშირად უსიტყვო თავგანწირვა ჯარისკაცებისა — ბოროდი ნოს ბრძოლაში, გლეხი პატრიზანებისა — ნაპოლეონის არმიის აღლის განადგურებისას. „პატრიოტიზმის სიტბო“, 1812 წლის სუსხიან ზამთარში რომ ათბობდა სამშობლოს ნამდვილ დამცველებს, დაპირისპირებული არისტოკრატთა გულგრილ, მოჩვენებით პატრიოტიზმთან.

მე-20 საუკუნეში, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, „პატრიოტიზმის“ არსმა ახალი აზრი შეიძინა. საბჭოების ახალგაზრდა ქვეყანამ გაწყვიტა

ბიბლიოთეკის
საქონლის
ბინა



გავიხსენოთ ბელორუსი დრამატურგის ა. მაკაენკას პიესა „ტრიბუნალი“. სოფლელი მწყემსის შვილები შეიტყობენ, რომ მათი მამა გამცემია და მზად არის მამასახლისად იმუშაოს ოკუპანტებთან. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს ძალიან უყვართ მამა, სამშობლოს ღალატს მაინც ვერ აპატიებენ და საოჯახო „ტრიბუნალი“ სასჯელის უმაღლეს ზომას გამოუტანს მას. მამა კი, ამას რომ გაიგებს, სიამაყით ეუბნება ცოლს: „აი, ზომხედავ, როგორი პატრიოტი შვილები გავვიზრდიაო“ (სინამდვილეში, იგი მამასახლისად დგება პარტიზანული რაზმის დავალებით).

გმირებს ცხოვრება ბადებდა, ფრონტზე, ზურგში, იატაკქვეშეთში. მტრისადმი სიძულვილმა შეაკავშირა მემხატეთა ქალაქ კრასნოდონის ნორჩი პატრიოტები „ახალგაზრდა გვარდიის“ ორგანიზაციაში. მათი გმირობა მსოფლიოსათვის გახდა ცნობილი. სრულიად სხვადასხვაგვარი გოგონები და ბიჭუნები თანამესანგრენი გახდა სამშობლო ქვეყნისადმი საერთო სიყვარულმა.

„მე მიყვარს ჩემი სამშობლო“ — ეს ახალგაზრდაგვარდიელ ტოლია პოპოვის ჩანაწერია (1942 წ.).

„სამშობლოს ნება ჩემთვის კანონია“. — ეს სიტყვები კრასნოდონის პარტიული იატაკქვეშეთის ხელმძღვანელს ფილიპე პეტრეს ძე ლუტიკოვს ეკუთვნის.

„სიცოცხლეს არ დავხოვავ ჩემი სამშობლოსათვის“. ოლეგ კოშევი.

„მინდა ჩემი საქმეებით დავიმსახურო უფლება, — ვიყო ჩვენი მშვენიერი სამშობლოს ღირ-

სეული მოქალაქე,“ — ამონაწერი ჩვიდმეტი წლის დინა სამოშინას სასკოლო თხზულებიდან.

„სამშობლო საფრთხეშია, მაგრამ მას ეყოფა ძალა, რომ უკუგადას მტერი. — 1942 წ. იატაკქვეშა სტამბაში დაბეჭდილი ფურცელი, ხელმოწერილი ორადორი სიტყვით: „ახალგაზრდა გვარდია“.

„სამშობლოსათვის ვკვდები“ — იური ვიცენოვსკის სიკვდილისწინა ჩანაწერი.

„საყვარელო ძმაო, მე ვიღუპები, მტკიცედ იდექი სამშობლოს დასაცავად“. უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც იულია გრომოვამ საპატიმროს კედელზე დაწერა.

მათი სამშობლო მთელი საბჭოეთი იყო, რომლის თავისუფლებისთვისაც იბრძოდნენ რუსი და მოლდაველი, უკრაინელი და სომეხი, ბელორუსი, პოლონელი, აზერბაიჯანელი... საბჭოთა პატრიოტიზმი ბევრის მომცველი გრძნობაა, იგი წარმოუდგენელია პრელეტარული ინტერნაციონალიზმის, ყველა საბჭოთა ხალხის, სოციალისტური ქვეყნების, ჩვენი პლანეტის ყველა მშრომელის ძმური ერთობის გარეშე.

3. ვანილივი.

პატრიოტიზმი განუყრელადა დაკავშირებულია „მოქალაქეობრიობის“ ცნებასთან.

რას ნიშნავს იყო მოქალაქე? ეს უბრალო კითხვა როდია. განსაკუთრებით იმათთვის, ვინც მალე დაამთავრებს სკოლას და გახდება სრულუფლებიანი მოქალაქე — პიროვნება, რომელიც სარგებლობს ყველა უფლებებით და ვალდებულია შეასრულოს მოვალეობები, რომლებსაც განსაზღვრავს

სახელმწიფო კანონები, პირველ რიგში კონსტიტუცია.

კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება ყოველი ადამიანის ვალია, ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა არავის ეპატიება. მაგალითად, ყველა ადამიანი, ვინც მუშაობს, უნდა გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი, ყველა ჭაბუკმა, რომელსაც ეხება სამხედრო გაწვევა, უნდა იმსახუროს ჯარში, ყველა მშობელი ვალდებულია შვილი სკოლაში მისცეს და სხვა.

მოქალაქეობრიობის ამ იურიდიული მხარის გარდა არსებობს მეორეც — ამაღლებული, მორალური. იგი დაკავშირებულია სინდისის კარნახის, ღირსეული საზოგადოებრივი ქცევის კანონთა შესრულებასთან. მოქალაქე არის საზოგადოების შეგნებული წევრი, ადამიანი, რომელსაც ამოძრავებს არა მხოლოდ პირადი ცხოვრების, არამედ საერთო, სახალხო საქმის, მთელი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე გრძნობები. არ არსებობს არაფერი იმაზე უფრო კეთილშობილი, ვიდრე ისწრაფოდეს, იყო მშობელი ქვეყნის თავდადებული შვილი. ეს კი ნიშნავს, ეკუთვნოდეს იმათ, ვისი პასუხისმგებლობის, მოვალეობის გრძნობაც იმდენად ძლიერია, რომ აიძულებს ადამიანს არადა ჩააგდოს პირადი კეთილდღეობა.

თანამედროვეობა მდიდარია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და მოქმედების მაგალითებით. ჩილეს პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე ფაშისტებისაგან თავისი სამშობლოს დასაცავად ბრძოლაში დაიღუპა, როგორც ჯარისკაცი ავტომატით ხელში. პორტუგალიის ახალგაზრ-

და კაპიტნები, რომელნიც ღრმად ჩასწვდნენ თავიანთ ნამდვილ მოქალაქეობრივ ვალს, აღდგნენ ევროპული ფაშისმის ერთ-ერთი უძველესი ციტადელის წინააღმდეგ.

ასობით ამერიკელმა ჭაბუკმა ციხე ამჯობინა ვიეტნამის წინააღმდეგ უსამართლო ომში მონაწილეობას.

შენი ყოველდღიური ცხოვრება, რომელშიც თითქოსდა ჯერჯერობით არაფერია განსაკუთრებული, დიდი, რასაც შეიძლება თვალსაჩინო საზოგადოებრივი შედეგი მოჰყოლოდა, იძლევა იგი რაიმე შესაძლებლობას გამოავლინო მოქალაქის პატრიოტული გრძნობა? ცხადია, იძლევა. ყველა საქმეში, თუ კი მას სერიოზულად, პასუხისმგებლობით მოეკიდები, შეგიძლია დაიხსნო ისეთი დიდი ამოცანა, რომლის შესრულებაც მთელ შენს ძალეს მოითხოვს და რომელსაც დიდი საზოგადოებრივი უღერადობაც ექნება.

თვრამეტი წლის მოლდაველმა ქალიშვილმა ვალია საველიევამ რამდენიმე წელი მოანდომა იმ მეომარებზე მასალების შეგროვებას, რომელნიც მისი მშობლიური სოფლის განთავისუფლებისას დაიღუპნენ. მან დაადგინა 843 უსახელო გმირის ვინაობა. თავისი მოქალაქეობრივი ვალის ასეთი შესრულებისათვის ვალია დაჯილდოებულ იქნა მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების 25 წელი“.

ბევრ რაიმეს ისეთს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ არა პირადად ჩვენთვის, არამედ საერთო კეთილდღეობისათვის და საკუთარი გულისწადილით, შეიძლება ეწოდოს მოქალაქეობრიობა.



სუთნაფობა შივი

ირინე სვრელკოვა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ნანა შალიკაშვილი.

დედოფოში ყოველ ქოხთან მდინარეში პატარა, მსუბუქი ტივი დგას, სიგრძე ოთხი ნაბიჯი თუ ექნება, სიგანე — სამი. ამ ტივებიდან ამოაქვთ ვედრებით წყალი, აქედან ავლებენ სარეცხს, ხან კი, თუ საქმე საჩქაროა, მეორე ნაპირზეც გადიან, რადგან მთელ სოფელში მხოლოდ ერთი ხილია, სოფელი კი დაკლაკნილი მდინარის ნაპირზეა ჩაყოლებული.

ტანიას ტივი ყველას ტივისაგან განსხვავებულია. სხვები თუ შერჩეული, ერთნაირი მორებისაგან არიან თანაბრად და ლაშათიანად შეკრული, ტანიას ტივის შუაში ერთი გრძელი მორი აქვს, აქეთ-იქიდან კი მოკლეები. დანგრეული ძველი აბანოს ხუთი მორისაგან ფელუგასავით „ფენმარდი“ ტივი გამოვიდა წვეტიანი ცხვირითა და მომრგვალებული კიჩოთი. ერთი ირიბი ძელით არის შემტკიცებული, მაგრამ გამძლე გამოდგა. ბარჯიც მაგარი აქვს, სწორი, ნორჩი არყის ხისა. დაჰკრავ თუ არა ფსკერს, ტივი ნაპირს სცილდება. ტანია მორვეებშიც მარჯვედ უსვამს. სხვა გოგოებს მდინარეზე ტივით გასვლა ეშინიათ, იმას კი არა. ზოგჯერ ტივი ცოტაზე ჩაიძირება ხოლმე და ტანიას თოკით უხდება მისი გამოთრევა ნაპირთან და ზედ ახალი აბანოს ძელურის პირდაპირ მოტანა, რომელიც ჭერაც არ მოუშთავრებია ტანიას მამას.

გავა დრო და ბავშვობისდროიდან ბევრი რამ დავიწყებას მიეცემა, წარიშლება, ტივი კი დარჩება გოგონას მესხიერებაში სიხარულის მანათობელ ნაპერწყლად. ბავშვობის ეს სიხარული და სიამენი შემდგომ მთელს ჩვენს ცხოვრებას დარაჯებად უდგანან და იცავენ მას სხვადასხვა განსაცდელისაგან. იმ ზაფხულს, როცა მამამ ტანიას ტივი გაუკეთა, ის და დედა იძულებული გახდნენ სახლიდან ბებიასთან გაქცეულიყვნენ სოფლის მეორე ბოლოში. ნასვამი მამამისი კი ყოველ საღამოს სახლის ფანჯრებთან ილანძვებოდა, იმუქრებოდა და კარის შემტვრევას ლამობდა. ბებიასაგან დედა-შვილი დეიდა ფანიამ წამოიყვანა. აქ უფრო მშვიდად იყვნენ. დედა

დილაადრიანად მიდოდა ფერმაში, ტანიას კი გარეთ ფეხის გადადგმას უკრძალავდა.

არაფერია იმაზე ცუდი, როცა სხვის ჭერქვეშ გითენდება დილა. წამოდგები თბილი ლოგინიდან და არ გინდა რამეს ხელი ახლო. სურვილი გაქვს ისევ უკან შეგორდე, გაეხვიო საბანში და კვლავ იგრძნო საკუთარი სხეულის სიბო. საწოლიც გეუცხოვება. მთელ სახლში შენი მხოლოდ კართან ლურსმანზე ჩამოკიდებული ზედატანი და კიდეც, რეზინის ჩექმებია.

ტანიამ ტანთ ჩაიცვა, შიშველი ფეხები ჩექმებში ჩაყო და დიდი ხნის შეუთეთრებულ ღუმელთან სკამზე ჩამოჯდა.

დედამ წასვლის წინ მკაცრად გააფრთხილა, გარეთ ცხვირი არ გაყო. საღამოთი კი, როცა კარგა შებინდება, მოვა და ჩურჩულით უსაყვედურებს: ცოტა მიგელაგებინა აქაურობა, პატარა ხომ აღარა ხარ, დეიდა ფანიას ესამოცნებოდაო.

ტანიას კი არაფერი სჭირს ფანიას გულის მოსაგები. სხვისი სახლის დალაგება არც ეხალისება. თავისი არა აქვს თუ? — შეღებულ იატაკს მზეზე ლაპლაპი გაუღის, ჭერი ცასავით ცისფრად კამკამებს, ფანჯრებზე ლამაზი ფარდები ირხევა...

ტანიამ თავის სახლზე ფიქრი დერეფანში დაიწყო, როცა კარი უანგინი ურდულით გადარაზა, ზედ მძიმე კლიტე დაადო და გასაღები კიბისქვეშ შეაგდო.

მოკუჭულმა გაირბინა ბალახმოდებულ ეზოში. ახსნა ბოსტნის კარზე ჩამოცმული მავთულის რგოლი და ელვასავით ჩაურბინა კიტრის, კარტოფილის დაშაშრულ კვლებს ეზოს მიყრუებულ კუთხეში, ძველ აბანოსთან.

იმიტომ კი არ დაკეტა ტანიამ დეიდა ფანიას ქოხი, რომ ისევ უკან მოქაქანდეს. აბანოს იქით, ფიცრულ, ოკრო-ბოკრო ღობესთან ერთი გასაძვრომია. შიგ მოზრდილი ადამიანისა მხოლოდ მუშტი თუ გაეტევა, ტანია კი

ნემსივით გაძვრა და ცუცქით მდინარისკენ წავიდა. ხან ოროვანდის ფოთლებზე დაუცურდა ფეხი, ხან ჭინჭარმა დასუსხა. როგორც იყო, თიხნარი ფერდობიდან წყალში ჩაშლილ ფხვიერ ნაპირზე ჩამოგორდა, მაშინვე ჭინჭრისაგან დალუღუღებულ ხელ-ფეხზე სველი თიხა წაისვა და ჩამოსაბანად მდინარეში ჩექმეზიანი შევიდა.

შემდეგ მდინარეს ჩასწვრივ ლობე-ლობე გაიქცა. ღობე ჭალებიდან მოყოლებული ერთკმის ნაპირს. ასეთივე ფიცრულით არის შემოვლებული მთელი სოფელი, რომ ბოსტნებში ან საქონელი არ გადავიდეს საძოვრიდან და ან ტყიდან ცხენ-ირემი.

ტანამ გადაირბინა მეჩხერი ნაძვნარი, რომლის იქით გადაშლილი საძოვრები ზღვისკენ ფერდოვდება. ნაპირი ერთიანად მოფენილა თევზის ფარფლით და მზისაგან ისეა გამოთეთრებული, როგორც უძველესი გიგანტური ცხოველების ძვლები.

დედოვოს საძოვარი არ უფარვა, მცირეა და მწირი, ჭაობიანი, ვეება რიყის ქვებით სავსე. აქა-იქ ისლით შემოფარგლული ცისფერი ტბორები დგას. ტანის, მართალია, ჩექმები აცვია, მაგრამ, მაინც ვერ ბედავს ტბორში ფეხის ჩადგმას, თითისწვერებზე დგება და ისე ჩაჭყურებს მის თვალმიუწვდომელ სიღრმეში, როგორ მიჰქრიათ თეთრი ღრუბლები, დაფრინავენ მერცხლები, ტბორები უძირია...

ტანია საძოვრის ნაპირს ამოჰყვა. საქონლისგან გათელილ და გადაკორტნილ არყნარის ჩრდილში ნახირი ირევა. ძროხები ნება-ნება ძოვენ ბალახს. დედოვოში ძროხები სულ ერთნაირები არიან, იაროსლაფური ჭიშისა, შავ-თეთრა, უცებ ვერც კი გამოარჩევ იმათში ზორკას.

— ზორ, ზორ! — ეძახის ტანია. შავხალეზიანი ზორკა უაზროდ შეჰყურებს, კუდის ბოლოს იწკაპუნებს გავაზე, გუნდად დახვეული ქინქლისაგან გამწარებული. აინუნშიაც არ მოსდის ტანია, თავისი პატრონი.

— ზორ, ზორ!

თქვენც არ მომიკვდეთ!


სოფლის საბჭოდან ქონების გასაყოფად რომ მოვიდნენ, მხოლოდ დედასა და მამას კი არ არგუნეს წილი.

ტანია პირველად შეესწრო, როგორ იყოფენ დიდები ყოველ წვრილმანსაც კი. თვითონაც გოგოებს ზოგჯერ დღეში ორჯერ ებუტება. იჩხუბებენ თუ არა, მაშინვე ყველა თავის დედოფალას, ნაჭრებსა და სუნამოს პატარა ბოთლებს დაავლებს ხოლმე ხელს. მალე კი რიგდებიან ისევ, დედოფალებს აკოცნიებენ, ტაშს დააკვრევენებენ, რომ კეთილად წარიმართოს თამაში. ტანის ეშინოდა, იმათი ქოხიც სამად არ გაეყოთ, მაგრამ სახლიც დედას და ტანჩას არგუნეს, მამის წილად კი მოტოციკლი ჩაწერეს და უბრძანეს, მუდმივ საცხოვრებლად სოფელ დიატლოვოში, თავისიანებთან გადასულიყო.

მამამისი მეორე დღესვე უკან მოვიდა ნახვამი, ერთი აყალმაყალი ატეხა. შინ შემიშვითო, გადააქცია ჭიშკარი, მიაბტვრ-მოამტვრია დარაბები და ნაომარს დერეფანში დაეძინა.

მდინარევე დაწვინეს ფორანზე და დიატლოვოს გზას გაუყენეს. მაგრამ კარგად რომ გამოიძინა, მუქართა და აურზაურით მოუხტა ცოლ-შვილს. ტანის დედას შეეშინდა, აღარ გაჩერდა საკუთარ ჭერქვეშ, ყველაფერი მიკეტ-მოკეტა, გასაღებები მეზობლებს დაუტოვა და სთხოვა, ქათამს, ძროხასა და ტანის მამის ქომემს მიმიხედეთო.

ტანამ ის იყო ხელი წაიღო ზორკასაკენ მოსაფერებლად, რომ უცებ იქვე გაშეშდა, როგორც გველის წინ ბარტყი. დაინახა, როგორ მიაშტერა თვალი ტულპანმა. ტულპანი ჭუჭა ხარია, ზორკაზე დაბლი, კისერი მოკლევ აქვს, გაქუცული, შუბლი მოტვლებილი. ერთი რქა თურმე ჭერ კიდევ შარშან მოსტყდა, როცა ზოოტექნი-



კოსს გამოუდგა და პირდაპირ რქით შეასკდა საჩინბოს კედელს. ტანის შიშისაგან ჭირის ოფლმა დაასხა — მოტეხილი რქა უფრო საშიშია, ისეა წამახვილებული. ახლა მზერა? დაბინდული, მთვრალეული, გაჰქოლავი.

ზორკა კი გამოშტერებული დგას! აბა, თუ გამოექომაგება პატრონს, აბა თუ მოისაზრებს და გადაეღობება ტულპანს, როგორც ტანია გადაეფარა დედას, როცა მამა კარიდან ასეთივე ამღვრეული და დაბინდული თვალებით უყურებდა მას.



ტანიამ ნაბიჯი უკან გადადგა, ფეხქვეშ ხმელი ტოტი ჩამეტვრა. ხარმა მოკლე, მორგვევით კისერი დაღუნა და ისე, რომ გოგონსთვის თვალი არ მოუშორებია, ჩლიქებით დაბდღვნა მიწა.

ტანიამ ერთი შეშკივლა და ადგილს მოსწყდა. კი არ მირბოდა, მიფრინავდა... მწყემსმა ნიკოლაი ფროლიჩმა სტაცა ხელი გოგონას. ტანია მთელი სხეულით თრთოდა.

— რა გული გამიხეთქე, — უთხრა მწყემსმა და გოგონა მიწაზე დასვა.

ტანიას ყურები უწიოდა, ხელ-ფეხი უკანკალებდა, ზღარბივით მოიკუნტა.

— ჩემი ნუ გეშინია! — უთხრა ნიკოლაი ფროლიჩმა: გგონია, დაკითხვას მოგიწყობ, საიდან მოდიხარ?

ნიკოლაი ფროლიჩი ღიაფერ, გაქუცულ ქერა წამწამებთან თვალეებს ახამხამებდა. სოფელში ბევრს ეგონა, რომ მწყემსი ჯერ კიდევ ჭაბუკობაში გადასცდა ჭკუას. მაგრამ იქნებ ეს ასე სულაც არ იყო. ახალგაზრდობაში ნიკოლაი ფროლიჩმა თავიდან ბოლომდე გაიარა ყველა სამედიცინო კომისია და იბრძოდა ფრონტის მოწინავე ხაზზე. შინ დაჭრილი ან კონტუზირებული კი არ მოვიდა, მობრუნდა გამარჯვების მერე!

მამა და სამი ძმა ომში დაეღუპნენ, დედა მოუკვდა. დარჩა მარტო ნიკოლაი ფროლიჩი. ოჯახს აღარ მოეკიდა. ომის შემდგომ პირველ წლებში, ომიდან საღად დაბრუნებული ყველა ფრონტელის მგავსად, სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა, მერე კი, არც თუ ისე ხნიერმა, მწყემსობას მიჰყო ხელი. სოფელში არავინ ეძახდა მხოლოდ სახელს, ან შინაურულად ძია კოლიას, — მწყემსმა თავიდანვე მიაჩვია ყველა: დიდი თუ პატარა, სახელითა და მამის სახელით მრემართათ.

— რა უნდა გკითხო, განა არ ვიცი შენ და დედაშენი ვისთანაც იმალეხით, — უთხრა მან ტანიას, — უკითხავდაც ვიცი, მაგრამ არ გეტყვი. — ნიკოლაი ფროლიჩმა უხალისოდ გაიცინა, — გესურვრ! ბებიაშენს ნახულობ? ნაადრევად დაგებერდა. ისეთი ქალი იყო, ათ ვაჟაცს აჯობებდა... იმას რომ ახალგაზრდობაში ცოტა მეტი ესწავლა, წინ წაიწვიდა. მთავრობაში დეპუტატად იჯდებოდა...

ნიკოლაი ფროლიჩმა ქუდი მოიხადა, გამოიღო იქიდან „სევერის“ კოლოფი და პაპიროსს მოუკიდა. როგორც ყველა თანასოფელელმა, ამანაც, ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამოუჩინებლად, იცის ტანიას მშობლების უიღბლო ოჯახური ცხოვრების ამბავი და, როგორც ყველა სხვა, ესეც არ აძლევს თავს უფლებას, ჩაერიოს ცოლ-ქმრის საქმეში. ნიკოლაი ფროლიჩს ტანიას მამისათვის სხვა კაცებთან ერთად არაერთხელ გადაუგრესია ხელები: მაგრამ როცა საქმე უბნის მილიციამდე მიდიოდა, როგორც სხვები, ესეც ასე ამბობდა: არაფერი მინახავს, ვერაფერს დავამოწმებო. თავად ტანიას დედაც ხომ მილიციის წინაშე ყოველთვის ხელს აფარებდა თავის ხუმტურებიან ქმარს.

მწყემსს ტანიას დედა სულ არ ეცოდებოდა. მართალია, ლოთი ქმარი ჰყავდა, ვაჟკაცი სოფლის თვალწინ სულ უკან-უკან მიდიოდა, მაგრამ ასეთი არ იყო თავისეულად ყველა მშვიდ, მშრომელ კაცად იცნობდა. ჩანს, ქალიც რალაცაში ტყუის ქმრის წინაშე.

ყველას, და ნიკოლაი ფროლიჩსაც, უფრო ტანიას ბებია ეცოდებოდა. სიძემ იმედი არ გაუმართლა. უდანაშაულო ტანიაც ეცოდებოდათ, ბედი ასე უმოწყალოდ რომ ჩაგრადა. მწყემსი ცდილობდა გოგონას დამშვიდებას.

— პაპაშენი წმინდა ადამიანი იყო. რა არ გამოხდიოდა ხელიდან. მელუმელოც იყო, კარგი მეუწავირეც, დურგლობაც იცოდა. ჩემი ხასიათისა იყო, მაგრამ თავის ღრმზე — ამჟიც, თავმოყვარეობა თუ არ ექნა კაცს,

როგორ შეიძლება? არ შეიძლება... მამაშენი, თუ მეტი არა, ნაკლები ხელოსანი არ არის, მაგრამ არაყმა ვადაჩრია.

სასწრაფო შეკეთებაზე რომ მუშაობდა, სადილობაშიდე როგორღაც იკავებდა თავს, სადილობის მერე კი გიყვარდეს, — დახმარებისათვის გასამარჯელოს იღებდა და იქვე „დაამღერებდა“ ხოლმე. ნასვამი საჭესთან როგორღაც დაჯდებოდა? ხელოსანს ოსტატის თავმოყვარეობა უნდა ჰქონდეს. აი, პაპაშენი მართლა რომ კაცი იყო...

ტანიას შიშმა ცოტა გაუარა. ცალი ყურით უსმენდა ნიკოლაი ფროლიჩს, ვერ წარმოედგინა თავისი წელში მოხრილი, მოფუსფუსე ბებია საროსტანიან, მკაცრ ქალად, როგორც ის ნიკოლაი ფროლიჩს ახსოვდა. ქოხში ბებიას მთელ ორ კედელზე პირბადრი ახალგაზრდა ქალის გადიდებული ფერადი ფოტოები უკიდა. ერთ სურათში მამაკაცური ყაიდის კოსტიუმი აცვია, მკერდზე მედალი უკიდა. პაპასთანაც არის გადაღებული, პაპას ბავშვივით მიამიტი, დაჭყეტილი თვალეები აქვს. საწყალი ვერ მოესწრო შვილიშვილს. ბებია ტანიას დედასთანაც, პატარა ულამაზო გოგონასთანაც აქვს სურათი გადაღებული. ბებიას ეს მოვარდისფრო ფოტოები ტანიას არასოდეს არ შეუდარებია თავის ალერსიან, სახედანაოჭებულ ბებიასთან. არც ახლა მოჰყვება ამაზე ფიქრს. სულაც არ ექაშნიკება ნიკოლაი ფროლიჩის ტკბილი საუბარი, ყურთან მუჭში გამომწყვდეული კუტკალია უჭირავს და განაბული უსმის როდის დაიწყებს „ჭირიწინობელას“. მუჭში გამომწყვდეულმა, აბა, როგორ იჭირიწინოს? ის მხოლოდ ტანიას ცხელ, ნესტიან ხელისგულს უცაცუნებს თავის ფეხებს და ამ ღუტუნზე გოგონა ჩუმად იცინის.

„დაე გაერთოს! — ფიქრობს მწყემსი. — ბავშვს საღ შეუძლია გაბმული სევდა-კაეშანი?“

— ესეც ასე, — ნიკოლაი ფროლიჩმა ფეხით დატყეპნა ყვითელ ზოლამდე მოწეული სიგარეტი. — მამა, შენი ზორკას სანახავად მოხვედი, არა? ჭკვიანია, ფეთიანი არ არის, საყვედური არ მეთქმის.

ტანია მირბის მუჭში გამომწყვდეული კუტკალიათ. ფეხები ჩხირებივით ულამაზაყებს რეზინის ჩექმებში. აღარ ახსოვს, რომ ამ გზით ბებიასთან მიეშურებოდა. ბებიას ქოხი თეთრ ეკლესიასთან დგას. ალაგ-ალაგ ჩამოვარდნილი ბათქაშიდან წითლად ციმციმებს აგური. ტანია ფეხებს თვითონ მიჰყავს სოფლის მეორე მხარეს. თავის სახლისაკენ, ნიშანდობლივ იქ, ძველი სამი არყის ხე რომ დგას.

აი, ის ისევ მდინარის ნაპირს მიჰყვება. მიაჭყაპუნებს ტირიფის ბუჩქებსა და მწვანე ლელქაშის ბარდებში. ტანიას სახლი მდინარის გაღმაა. გოგონა შეშინებული იმზირება ბუჩქიდან, გულს ბავაბუგი გააქვს. ნეტავ, ტავი სად არის? უცებ ტანიას სულ გადააფიწყდა სიფრთხილე, ლელქაში გადათქერა და მუხლამდე შლამში შევიდა. რა ფათერაკი მოხდა? ტივი რა იქნა? ნიჩაბი აგერა, იქითა ნაპირზე გდია, ტივი კი არა ჩანს! ნეტავ ბიჭებმა გააცურეს თუ წყალმა გაიყოლია? ტანიას გული ამოუჭდა და თვალეები მუშტებით ამოისრისა: უცებ, როგორც რუხი ღრუბლებიდან მზემ, ისე გამოანათა ლელქაშიდან ტივმა, იქვე, ტანიას ფეხებთან. მთელია! ხუთნაფოტა, ნაცრისფრად გამომშრალი ტივი მარყუჟით ტირიფზეა გამობმული. ტანია ტივზე ეგებოდა. ძელეებს შორის მაინც გამოჩნდა წყალი, თუმცა გოგონა ჩიტივით მსუბუქია. ნასვრეტებში წყალს თევზის შიგნეული შემოაქვს. ჩანს, ვილაცას მიტოვებული ტივი სათევზაოდ გამოუყენებია. სოფელში ეს უბრალოდ ხდება. თუ ვინმეს რამე დასჭირდა, ვისიც არ უნდა იყოს, ხელს მოინაცვლებს.

ტანიამ ტივი ახსნა, ფიცრებიდან გამოათრია თავისი თეთრად დაწინწყლული ბარჯი და ტივი მოსხლიტა.



მეორე ნაპირსაკენ აიღო გეზი. გოგონა შუა ძელის კიდევ დგას, ხუთნაფოტა ტივმა ცხვირი აპრიხა და მარდად გასრილდა წყალზე. ტივი ახლადაშენებული აბანოს მოწითალო კედლისაკენ ისწრაფვის, იქიდან ნაპირსაკენ ბილიკი მოემართება, რომელიც ნიაღვრით ჩამოტანილ ყვითელ ქვიშასა და წვრილ კენჭებში იკარგება. ტანამ ტივი მიჩნეულ ადგილზე გამოაბა. სისველისაგან დამძიმებული თოკი ნაპირზე ღრმად ჩასმულ პალოზე დაახვია და მეზობლის ბაღჩა-ბოსტნებიდან რომ არავის დაენახა, წაყუშულმა აირჩინა თავის სახლისაკენ მიმავალი ბილიკი. მდინარის მხარეს მათ ფიცრულ ბოსელს კედელში, ზედ მიწის პირზე, დატანებული ჰქონდა კუთუკარი ნაკელის გამოსახვეტად. ეს კარი ღია დახვდა. ტანია ფათიფუთით შევიდა ბოსელში, თითქოს უკან ვინმე მოსდევსო, უკუნ სიბნელეში ხელების ფათურით დერეფანში გავიდა და ოთახის კარი შეაღო. ოთახში ბნელოდა, ტანიას თვალი მოსწრა დახურული დარბაზების ნახვრეტებიდან ალესილი წვრილი დანებივით შემოჭრილმა დღის სინათლემ. გოგონას სულაც არ ეშინია ამ ცარიელ, მიყუჩებულ სახლში, გარედან კლიტე რომ ადევს, აქ ისე ლაღად გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში, როგორც ლაფვარდში ფრინველი, როგორც მგლის ლეკვი თავის ბუნებაში.

სასობით ადგამს ფეხს იატაკის ყოველ ფიცარს, შინაურულად ენება კარების სახელურებს, ვენური სკამების სადა, მრგვალ საზურგეებს, სიბნელეში ოდნავ მოელვარე ნიკელის ცივ, ფართო საწოლს.

ხალხში ძალზე მოკრძალებულია ტანია, ამ ბნელ, დაცარიელებულ სახლში კი მსუბუქად და ფაქიზად დანარჩენებს. საამოდ ელამუნება ლოყაზე შუა ოთახში გაბმული ჩითის ფარდა.

თითქოს მთელი სახლი ტაშს უკრავს მის უჩუმარ ნარნარს. შეხმატკბილებულად შრიალებენ კუთხეში აძრობილი შპალორის ნახევები. მათ ბანს აძლევს ცარიელ ვედროში მოჩხაკუნე ციცხვი, ყველაფერ ამას კეთილად ერწყმის ფანჯრიდან მონაბერი კიდევ ერთი გაწეილი, ჩუმი ხმოვანება. ეს ხმაც ისევე ეცნობა ტანიას, როგორც ციცხვის ჩხაკუნი და ახეული. შპალორის შრიალი. ამ ხმის გაგონებაზე ტანია ყუჩდება. ყუჩდება მთელი სახლი. აი, ახლა კი გარკვევით ისმის შალაშინის შარბურბი. ხმელი და კრიალა ნაძვის ფიცრიდან ბურბუშელოს ნაკალი გადმოდის. იქნებ ის დროა, ტანია თავქუდმოდგეჯილი გარბოდეს აქედან, მაგრამ სულგაკანკული ის პატარა ბოთლებით გავსებულ სარკმელთან მიდის, სარკმელი მაღლაა, ვერა სწვდება და ცარიელ კასრზე დგება. ეზოში, სადურგლო ვიწრო დაზგაზე ტანიას მამის ხელში თანაბრად მიდი-მოდის შალაშინი, მამა წახრილი დგას, ცისფერი მაისურა აცვია, ზურგი მთლად დასველებია, წურწურით ჩასდის ოვლი.

მამა-შვილობის იდუმალმა გრძნობამ ტანია ჯერ დაატყვევა, ხოლო როცა გონს მოეგო, თვალი დაეხა იქაურობაზე. ეს ყველაფერი, წლების შემდეგ გუშინდელ დღესავით წარმოუდგება; მუქ სიმწვანეში ოქროსფრად ბზინავდა იმ წუთას ჩამოყრილი ბურბუშელი. მამა ფეხშიშველი იდგა მოთელილ ბალახზე, მეტისმეტი სითეთრისაგან კანზე ლურჯი ფერი დაჰკრავდა, სამუშაო შარვალი ბევრი რეცხვისაგან გამოსუნებოდა და დასრესოდა. სამუდამოდ აღიბეჭდა მის მეხსიერებაში მამის ხელები — იდაყვებიდან ხელის მტევნამდე ძარღვიანი, გარუჭული, მკლავები კი — ნაწი, რძისფერი.

დაზგასთან, ღობეზე, ხის სიფრიფანა თამასებისაგან შეკრული, ჩახლართული ნაყუთით დამშვენებული ახალი ნაკეთობა იყო მიყუდებული.

ტანია მიხვდა, მამას ახალი ჭიშკარი გაეკეთებინა. ეცნაურა ძველი ჭიშკრის უანგიანი ანჯამები, რომლებბითაც მამას ძელზე კარის ზედა და ქვედა მხარე დაემავ-

რებინა. ახალი, გაშალაშინებული ფიცარი უკვე დადგენილი იყო უანგისფრად. ვინ იცის, რამდენჯერ უფუჭებულა ფუსია ტანიას მამის გვერდით, როცა ის ამ თავისი ხელით გაკეთებულ დაზგასთან სადურგლო საქმით იყო გართული. დედოფალივით შეიმოსებოდა ხოლმე ოქროსფერი ბურბუშელით. დიდს — თმაზე შემოიდებდა გვირგვინად, პატარას — სამაჯურივით იხვევდა, სულ პაწიებს — ვითომ ბეჭედილო — თითებზე იკეთებდა. მამის ხელით გამოთლილ ძელებს ჯერ კიდევ გამოსაგონი თამაშობისათვის ინახავდა. საქმეს აღარ აცლიდა გაუთავებელი კითხვებით: ეს რა არის? ეს რატომ გააკეთე? მაგრამ ამდენი ხანი არასოდეს უყურებია მამისათვის, ის კი ბაიბურშიც არ იყო, ვისი თვალები უმწერდნენ ასე დაუინებით, გაფართოებული გუგებით. მამა ხმელ, ოდნავ ფისიან სწორ ფიცარს აშალაშინებდა — ერთი ნუფრიც არსად ჰქონდა, შალაშინი თავისუფლად მიდი-მოდიოდა. უთუოდ დანაც კარგად იყო აღესილი, მჭიდროდ დამაგრებული. ფიცარს ხელში თოფივით დაიჭირდა, დახრიდა და ლოყასთან მიჰქონდა, გახედავდა ცალთვალმოკუტული. დურგლის სახალისო შრომა ტანიას მამას შეიძლება ძველებურად აღარ ახარებდა, მაგრამ დამშვიდებით კი ამშვიდებდა... არ ფიქრობდა ბოქლომზე, გულსაკლავად რომ ეკიდა სახლის კარებს, არ სჭირდებოდა დაკეტილი ქონის გაღება; ზაფხულობით მთელი სამუშაო იარაღი ამ ფარდულში ჰქონდა გამოტანილი, მის მეტს კი სხვას არაფრად ეპიტნავებოდა არც ეს ფარდული, არც ეს დაზგა. შოთიანი დღეების შემდეგ, როგორც მყუდრო ნავსაყუდელს, ისე მოადგა ტანიას მამა თავის სადურგლო საქმეს, თავის დაზგას და იქ კი რაც იქნება, იქნება!

ტანია თავდაპირველად ვერც ხედავდა მამის სახეს, უყურებდა მხოლოდ გამოკვეთილ კეფას და ჩამუქებულ კისერს, რომელზეც მუქი კულულები იყო ჩამოზრდილი. მაგრამ აი, მამამ დაღო შალაშინი და ტანიასაკენ შემოტრიალდა. გოგონა ჯერ გადაიწია ფანჯრიდან, მაგრამ ისევ ხარბდა აეკრა მტვრიან მინას. მამამ პაპიროსს მოუყიდა თავისი ხელით გაკეთებული სპილენძის სანთებელას აბოლებულ ალზე. სახე შესიებული არა ჰქონდა, არც წვერმოშვებული იყო. წმინდად გაპარსული პირისახე ჩამშვიდებოდა. თითქოს სანთლისააო, ზაფრანის ფერი დაჰკრავდა. უბეები ჩაშავებოდა, თვალის სხივი ჩაჰქრობოდა. დაღლილობა გამოსჭვიოდა მის უაზრო მწერაში. არავის ელოდა და არც არავის ეძებდნენ ეს თვალები. ააა, შიშმა კი არა, სულ სხვა, გაუგებარეს რაღაცამ ააფორიაქა ტანია. კასრიდან ჩამოძვრა, ფეხაკრფით გაიპარა წინაკარიდან და ბოსლის პატარა კარს მიადგა, რომლის იქით შორეული დღესასწაულივით ანათებდა ივლისის უკიდევანო ცა, ქვემოთ, ბილიკთან ტივი ელოდა. მამამ შეუკრა ეს ტივი ბევრი ხვეწნა-მუდარის მერე. დედაც ყოველდღე შეახსენებდა ხოლმე. სახელდახელოდ შეკრა. შუა ძელი აღმაცერი იყო, მაგრამ საოცრად მკვიდრი გამოდგა.

ბავშვის ნათელმა გონებამ ციმციმ აკრიფა მშობლიურ სახლში ნანახი, უსიამოვნო თუ გაუგებარი უბრალოდ და ნათლად აღიბეჭდა მის მეხსიერებაში, როგორც ფერადი ნაკუწები. თოლიები ხნულიდან ნაპირზე ბრუნდებოდნენ. მდინარე აიშლებოდა — ჩანს, საღდაც ზემოთ ტრაქტორმა გადაირახრაბა. მზეს ისევ თეთრად გამოეშრო ტივი.

ტანამ ის იყო ახსნა ტივი, რომ მეორე ნაპირზე ორი ადამიანი გამოჩნდა, ქალი და კაცი. სოფლებებს არ ჰგავდნენ, რეზინის ჩექმების მაგივრად საზაფხულო ფეხსაცმელი ეცვათ.

— გოგონა, გეთაყვა, გვითხარი...
უცნობმა ადამიანებმა მეორე ნაპირიდან ტანიას გვა-



ნეტავი საიდან გაჩნდა, რა წინათგომობამ მოიყვანა ასე ბედზე, დაბარებულებით!

— ახსენი, ახსენი ტივი — ააჩქარა ბებიათ ტანის მოწყობა გადმოიყვანე ეს ადამიანები.

— ვინ არიან? — დაიჩურჩულა ტანია.

— რაიონიდან მოვიდნენ... ეს ჩემი შვილიშვილია. ტატანა. — ბებომ ხმას აუწია, რომ გაღმა გაეგოთ მისი ნათქვამი, — ახლავე მოგართმევთ ტივის.

— ანა ლავრენტიევნა, ეს ტივი მოზრდილ ადამიანსაც გაუძლებს? — იკითხა კაცმა.

— გაუძლებს, ნაცადია... ჩემი შვილიშვილი რა ხანია, გადი-გამოდის.

— ტომარაც! ბები, ტომარაც! — გაახსენა ტანია.

ბებია ვერ გაიგო ტანიას ნათქვამი და იმ უცხო ადამიანებს გაუგებარი ღარჩათ, რომ ბებიასა და ტანიას გარდა ტივზე ერთხელ სათესლე კარტოფილით სავსე ტომარაც იყო. მაინც მშვენივრად გადაცურეს, თუმცა გაზაფხულზე წყალი ღრმა იყო, უფრო განიერიც და, რა თქმა უნდა, უფრო ცივიც.

ტანია ჭერ ქალი გადმოიყვანა. შეშინებული ქალი ნახევრად ჩაძირული ტივის შუაში ჩაიკუნტა და უმწეოდ იმზირებოდა. მერე მამაკაცი დასვა, მან ტანიას ბარჯი ჩამოართვა და სიმღერით გაუტია: «Прощай, любимый город, уходим завтра в море».

ტანია შეჭურებდა და იცინოდა. დიდი ხანია ასე გულიანად აღარ უცინია, ყბები ეტკინა. ქალმა ტანიას თმაზე ხელი გადაუსვა და ბებიას უსაყვედურა, — განა შეიძლება ასეთი პატარა გოგოს ცურვა ამ ნაფოტა ტივითაო? ერთიც იქნება და დაიშლებო.

— არ დაიშლება! — ჩაიღუღღუნა ტანია, ბებია კი უკმაყოფილოდ გადახედა ქალს.

— რაკი თვითონ არ ეშინია, — მაშასადამე, შეიძლება... რომ შინებოდა... ეს სხვა საქმეა...

— ბებიას ჰგვანებია, ანა ლავრენტიევნა, მეცნო თქვენი ნათქვამი, — უთხრა კაცმა. სიამოვნებით გაიმეორა ბებიას სიტყვები: „თუ თვითონ არ ეშინია, — მაშასადამე, შეიძლება...“

— შენ კი სულაც არ გეშინია, არა? — შეხედა კაცმა გოგონას და სახე დაუნაღვლიანდა. პასუხს არ დაელოდა, ბებიასაკენ შებრუნდა, — რაღას ვუყურებთ, წავიდეთ. აქამდე რატომ იყავით გაჩუმებული, ანა ლავრენტიევნა? ვინ თქვენ და ვინ უსიამოვნებასთან შეგუება. ხომ არის მაგისტანებისთვისაც სამართალი, იმის ჩათვლითაც... — სიტყვა არ დაამთავრა და კვლავ გოგონას შეხედა.

ტანიასათვის გაუგებარია ამათი საუბარი, ვერ მიმხვდარა, რად ეძებენ ეს უცხო ადამიანები ამათ სახლს? რატომ დაემორჩილნენ ბებიას სურვილს და ტანიას ტივით რად გადაცურეს მდინარე!

რატომ არ გაბრაზდა ბებია, ტანია აქ რომ ნახა, — ხომ გააფრთხილეს, მამას არ შეხვედროდა, დეიდა ფანიას სახლიდან ცხვირი არ გამოეყო გარეთ.

ბებია და ეს ორი უცხო ადამიანი, დიდი ხნის სასურველი სტუმრებივით, ტანიას ბილიკს აჰყვნენ. ბებია თავისი თავკავიანი ჭოხით წინ მიდიოდა, დანარჩენები უკან მიჰყვებოდნენ. — ნეტავ ის სამართალი ვილა გამოუჩნდა ტანიას მამას? სახლის უკან კი, ბოსლის ყრუ კედელს იქით შარიშური გააქვს შალაშინს და საამოდ იფრქვევა ფისიანი სუფთა ფიცრის სურნელი.

ტანია ნაპირზე დარჩა... გული უგრძობს, აღარ მოუწევს დაბრუნება დეიდა ფანიასთან და აღარც ადამიანებს დაემალება.

ტანია მირბის ნაპირზე, თავისი დობილები მოენატრა და წკრიალა ხმით გასძახის ერთს, მეორეს, მესამეს...

რი დაიძახეს, ამ გვარის კაცის სახლის გზა მიგვასწავლეთ.

ტანია დაიბნა, ენა დაება, ხელებილა ააქნია. მოულოდნელად ბებიას ხმა შემოესმა.


— აქ არის ამათი სახლი, თქვენს პირდაპირ.

— ანა ლავრენტიევნა! — შესძახა კაცმა, — ვერ გიცანით!

— რამდენი ხანია აღარ გვინახავს ერთმანეთი! — ბებია ჩამოჰყვა ბილიკს, რკინის ხელჯოხზე დაყრდნობილი.



საბჭო




სვანი და კახაპი

განა რომელი საუკეთესოდ ილუსტრირებული წიგნი, კინო თუ ტელეეკრანი დააკმაყოფილებს ადამიანის ცნობისმოყვარეობას ბუნების საიდუმლოებისადმი? მართლაც რომ მრავალფეროვანი და ჭეშმარიტი შემოქმედია ბუნება! ხოხობის ფერები,

ბულბულის გალობა, მელას ეშმაკობა... ქურდბაცაცა კაჭკაჭი, ამაყი არწივი, ყრანტალა ყვავი... რამდენი განუმეორებელი სახე ირევა ჩვენს შემეცნებაში! ადამიანი ოდითგანვე ესწრაფოდა ცხოველებთან კონტაქტს. ეს კონტაქტი თავიდან თუ პრაქტიკული ხასიათისა იყო, მალე სულიერ მოთხოვნილებად გადაიქცა — გალიებში ფრინველები მომრავლდა, აკვარიუმებში — თევზები და ა. შ. მაგრამ განა შესაძლებელია ყველა ცხოველის ერთ ჭერქვეშ ყოფნა? და, აი, გამოსავალი პირველად ჩინელებმა იპოვეს. მათ ჯერ კიდევ ოთხი ათასი წლის წინათ შექმნეს საჩვენებელი ხელოვნური პარკი, სადაც ცხოველებს ინახავდნენ. ეს იყო ამ ქვეყნად პირველი ზოოლოგიური პარკი. შუა საუკუნეების აზიისა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში მეტად პოპულარული გახდა სამხეცეები.

მოგვიანებით XVIII-XIX საუკუნეებში ევროპაში შეიქმნა პირველი ზოოლოგიური ბაღები. ისინი სამხეცეებისაგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ აქ დამთვალიერებლებისათვის კეთილმოწყობილი პირობები იყო შექმნილი — შემოღობილები და გალიები იდგმებოდა მხატვრული პეიზაჟებით მდიდარ ბაღებში. ოღონდ, ეს იყო რომ, განსაკუთრებით დიდი ზომის ნადირ-ფრინველს მეტად საცოდავი, არაბუნებრივი შესახედაობა ჰქონდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ზოობაღებმა გაამართლეს თავიანთი დანიშნულება — მათ მსოფლიოს ასეულ მილიონობით მკვიდრს გააცნეს ჩვენი პლანეტის საინტერესო ბინადარნი. შედარებით მცირე ფართობზე, რამდენიმე საათის განმავლობაში ადამიანს საშუალება ეძლეოდა ერთდროულად გასცნობოდა არქტიკის ყინულების, ამერიკისა და აზიის ჯუნგლების, აფრიკის სავანების,



ორანუტანგი

სხვადასხვა კონტინენტების ტყის, ველისა და უდაბნოს ფაუნას, აგრეთვე ავსტრალიის პრიმიტიულ ძუძუმწოვრებს. ცნობილია, რომ XVIII საუკუნის ბოლოს, როცა ბრიტანეთის კუნძულზე პირველად მიიყვანეს ჟირაფი, ერთმა დიდგვაროვანმა ლედიმ კატეგორიულად განაცხადა: „არა, არა და კიდევ არა, ეს ცხოველი არ იქნებაო“.

მაგრამ ვავიდა დრო და ადამიანი აღარ დააკმაყოფილა იმ წარმოდგენამ, რასაც ცხოველებზე ზოოლოგიური ბაღები იძლეოდა. ათასგვარი სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, სათავგადასავლო ლიტერატურა, ფოტო, კინო და ტელემასალა დაინტერესებულ პირებს მოუთხოვდა განსაკვიფრებელ ამბებს ცხოველთა ქცევაზე, მათს ცხოვრებაზე, ფსიქიკაზე, აზროვნების ჩანასახზე. გამოჩენილი მწერლები ჯეკ ლონდონი, რადიარდ კიპლინგი, სეტონ ტომპსონი, ვაჟა ფშაველა, ფელიქს ზალტენი, ჰემანგუეი და სხვები

გნეობის ანბანი


დასასრული. იხ. მე-18 გვერდი.

შესძლებ შენ, გახდენამდვილი მოქალაქე? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ეკიდები ახლა იმას, რაც შენს ირ-

გვლივ ხდება, დამოკიდებულია შენს ქცევაზე, და იმაზეც, შესძლებ თუ არა პირში უთხრა ადამიანს მისი უმართებულო მოქმედების შესახებ, თქვა სიმართლე კრებაზე მაშინ, როდესაც სხვებმაც იციან ეს სიმართლე და მაინც დუმოილს ირჩევენ. შესძლებ თუ არა პატიოსნად, მთლიანად

მოახმარო შენი შესაძლებლობები იმ საქმეს, რაც გაკისრია? მოქალაქეობრიობა განუყოფელია ადამიანის მაღალ პირად ზნეობასთან, მის ყველაზე საუკეთესო სულიერ თვისებებთან — პატიოსნება, შეურიგებლობა ბოროტებასა და სიცრუესთან, უანგარობა.

ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ არაჩვეულებრივი მოქალაქეობრივი მოქმედების უნარი, თანდაყოლილი არ შეიძლება იყოს. ეს თვისება უნდა აღვზარდოთ ჩვენში. მისი საფუძველთა საფუძველი კი არის ელემენტარული წესიერება, პრინციპულობა, სინდისიერება, გულისხმიერება სხვათა ვას-



თახევი

შხელი

შესანიშნავად იცნობდნენ ცხოველთა ქცევებს და არა მარტო ამაღლელებელ ამბებს წერდნენ ნადირ-ფრინველთა ცხოვრებიდან, არამედ უაღრესად დამაჯერებლად ადამიანურებდნენ მათ.

უფრო მეტიც, მეოცე საუკუნის ოც-ოცდაათიან წლებში ცხოველთა ქცევებზე ბიოლოგიაში შეიქმნა ცალკე მეცნიერული დისციპლინა — ეთოლოგია.

ასეთ ვითარებაში დაისვა საკითხი, ზოოლოგიური პარკები სულ სხვა ეკოლოგიურ პრინციპებზე შექმნილიყო. მაყურებელს ნადირი უნდა ენახა ბუნებრივთან მაქსიმალურად დაახლოვებულ პირობებში: მაიმუნები — ტროპიკებში, ლომი და სირაქლემა — სავანებში, სადაც მხეცს შესაძლებლობა ექნებოდა გამოვლინებინა თავისი ბუნებრივი მიდრეკილებები; ლალად ეცხოვრა და აღედრეა ჩვენში მართალი და არა სიბრალულის ემოციები. ასეთი ზოოპარკები არსებობს უმეტესად ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერი-

კისა და ავსტრალიის კონტინენტებზე.

ბერლინის ზოოლოგიური ბაღი — ტირგარტენი, რომელიც უკვე 150 წლისაა, ქალაქის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა. ვინც იცის გერმანელთა სიყვარული ცხოველებისადმი, ადვილად მიხვდება, თუ რა დიდი დანაკლისი იყო მათთვის ზოოპარკის უქონლობა. და როცა გადაწყდა დემოკრატიულ გერმანიაში ახალი ზოოპარკი აგებულიყო, ერთუზიანში შეიპყრო დიდი და პატარა. ცხოველთა პარკის მშენებლობა გადაიქცა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ნამდვილ სახალხო მშენებლობად.

და როცა ზოოპარკი აშენდა და დღის წესრიგში დადგა ცხოველთა შესყიდვის საკითხი, გაჩაღდა ნამდვილი შეჯიბრება: ნიშანდობლივია, რომ მძიმე მრეწველობის მუშებმა თავიანთი დანაზოგით შეიძინეს სპილოები, მაცივრების ქარხანამ — თეთრი დათვები, ოფიცინტებმა — პინგვინები... აღნიშნული კომპანიის

ნამდვილი ციებ-ცხელების პერიოდში ბერლინის ქუჩებში დაჰყავდათ სახეღარი პლაკატით: „მხოლოდ მე არ შემაქვს წილი ზოოპარკის მშენებლობის სასარგებლოდ“.

და, აი, ბერლინში აიგო მსოფლიოში სამაგალითო ზოოლოგიური პარკი, რომელსაც ხელმძღვანელობს უდიდესი ენთუზიასტი და ბუნების უბადლო მცოდნე, სპეციალობით ვეტერანი, დირექტორი დატტე.

ცხადია, ცხოველები ახალ პარკებშიც ტყვეობაში იმყოფებიან, მაგრამ აქ მეტი ფართობი ეთმობა არა მაყურებელს, არამედ ცხოველებს, თანაც ეს ფართობი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისი რელიეფითა და მცენარეული კომპონენტებით მაქსიმალურად უახლოვდება ბუნებრივს. თანამედროვე ზოოლოგიური პარკების ეკოლოგიური პრინციპით მოწყობა მხეცების უგალიებოდ წარმოდგენის საშუალებას იძლევა. ეს კი განსაკვივრებლად ეფექტურია. აი, მაგალითად პარიზის ვენსანის ტყეში არსებული ზოოპარკი. შორი-

ჭირის მიმართ. ასეთი თვისებების საკუთარ თავში გამოიმუშავება კი ნიშნავს ყოველ ნაბიჯზე, ყოველ შემთხვევაში ისწავლო შიშის, გაუბედაობის, მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნვის დაძლევა.

ახლა შენი ფიქრი და აზრი განუწყვეტლივ მიმართულია ჩნომავლი

პროფესიისაკენ. ამ პროფესიით აღჭურვილი საბოლოოდ შეიგრძნობ თავს მოქალაქედ, პატრიოტად.

ამაზე ფიქრობდა ერთი ახალგაზრდა, როცა 1865 წელს წერდა:

„თუ ჩვენ ავირჩიეთ პროფესია, რომლის ჩარჩოებშიც ყველაზე

უკეთ შეგვიძლია ვიშრომით კაცობრიობისათვის, მისი სიმძიმე წელში არ მოგვხრის, რადგან ეს მსხვერპლია ყველასათვის. მაშინ ჩვენ განვიცდით არა საცოდავ, შეზღუდულ, ეგოისტურ სიხარულს, არამედ ჩვენი ბედნიერება მილიონთა კუთვნილება გახდ-

ბა, მაშინ ჩვენი საქმეები იცოცხლებენ წყნარი, მაგრამ მარადიულად მოქმედი სიცოცხლით, ჩვენ კი ცხარე ცრემლით დაგვიტირებენ მაღლიერი ადამიანები“...

ეს ახალგაზრდა გიმნაზისტი კარლ მარქსი გახლდათ.

ა. ჰორონოვი.

დანვე გეცემათ თვალში უცნაური დეკორაცია — მთების გიგანტური იმიტაციები — ხეივანი, რომლის ორივე მხარეს თუთიყუშები არიან ჩამწკრივებული, გაგიყვანთ მოედანზე, სადაც თვალწინ იშლება მომხიბლავი პანორამა: ყირაფები სავანებში, ვარდისფერი ფლამინგოს მთელი კოლონია ტბაზე.

ბუნებრივ გარემოსთან დაახლოებულ ზოოპარკებს დიდი უპირატესობა აქვთ სხვა მხრივაც. ასეთ ვითარებაში ცხოველი მრავლდება, შთამომავლობას იძლევა. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს გადაშენების გზაზე მდგომი ფაუნის შენარჩუნების თვალსაზრისით. თანამედროვე ზოოპარკი საიმედო თავშესაფრად იქცა დომბის, პრეველსკის ცხენის, თეთრი მარტორქის, აზიური ლომისა და სხვა ცხოველებისათვის, რომლებიც ბუნებრივ პირობებში ან სრულიად აღარ გვხვდებიან, ანდა ერთეულების სახით არიან შემორჩენილნი. ვეფხვები, ლომები, გეპარდები და სხვა მტაცებლები, ამჟამად ზოოპარკებში უფრო ნაყოფიერად მრავლდებიან, ვიდრე ბუნებაში.

ცხოველთა თანამედროვე პარკების ღირსებაა ისიც, რომ მეცნიერები ტყიურებს სწავლობენ ბუნებრივთან ახლო პირობებში, ხოლო სტუდენტები პრაქტიკას გადიან ცოცხალ, ბუნებრივ ლაბორატორიაში.

აი, რამდენი უპირატესობა აქვს ეკოლოგიური პრინციპით მოწყობილ ზოოლოგიურ პარკებს.

იმას ვერ ვიტყვით, რომ თანამედროვე ზოოპარკებში რკინის ბადეებს სულ არ იყენებდნენ. ცხოველთა სამყაროს ყველაზე ფეხმარდი მტაცებელი — გეპარდი მაღალი ბადით არის იზოლირებული, ასევეა ფრთოსნებიდან არწივი, შევარდენი, კონდორი, მაგრამ მტაცებლებისათვის მაინც იხელა სივრცეა გამოყოფილი, რომ გეპარდმა თუ შევარდენმა თავისუფლად შეკრან გრაციით სავსე კამარა.

თბილისის ზოოლოგიური პარკი დედაქალაქის მცხოვრებთა თუ ჩამოსულ სტუმართა საყვარელი დასასვენებელი ადგილია. სულ



ნორჩ კორეასონდენტთა ჟურნალი № 10

უნდა გაეოგნოროთ...

ამასწინათ „აისში“ წავიკითხეთ გულსტიკივლით აღსავსე წერილი — „იქნებ შეიგნონ“. ამ კორესპონდენციაში მოყვანილმა ფაქტმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა რაზმებსა და რაზმეულებში. რაზმეულის შეკრებაზე დავადგინეთ, რომ დაუშვებელია ამხანაგებს შორის მტრული განწყობილება, ბეზლიობა, სიტყვის მიტან-მოტანა. ყოველთვის უნდა ვეცადოთ გულისხმიერნი და ერთმანეთის მოსიყვარულენი ვიყოთ. პიონერულმა რაზმებმა და რაზმეულებმა სასტიკად უნდა დაგმონ ისინი, ვინც მოსწავლისთვის შეუფერებლად იქცევა და გარკვეული ზეგავლენა მოახდინონ მათზე.

ზაურ მახარაძე,

შუახევის რაიონის ოლღაურის საშუალო სკოლა. რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე.

აღმოუჩინელ ოხნაგდ იქნა

რამდენიმე ბიჭმა მთაში წასვლა გადაწყვიტეთ. დილაუთენია გავუდექით გზას. მზე ნელ-ნელა ამოდიოდა. ცა ისეთი ლამაზი იყო, ისეთი ლამაზი რომ დიდი ხანი მის ყურებას შევადგინეთ.

ავუყვით აღმართს. მალე დიდ ლოდებს მივუახლოვდით. ზოგი ლოდი ერთმანეთს მიყრდნობოდა, ზოგი კი, არც თუ ისე დიდი მანძილით, გაცალკევებულიყო.

დაცხა. ხალათები გავიხადეთ და მაისურის ამარა ვიწყეთ სიარული.

— ბიჭებო, ბიჭებო! — დაიყვირა ალიკომ, რომელიც დიდ ხავსმოკიდებულ ლოდზე ასულიყო და რაღაცას გაშტერებით მისჩერებოდა.

ყველანი მასთან გავჩნდით.

— იქ გამოქვამული უნდა იყოს, — თქვა მან და ხელი შორს გაიშვირა.

მის თითს მზერა გავაყვანე და ვთქვი: წერილი არ დავინახე?

იქით გავეშურეთ.

მალე მივადექით ორ ლოდს. ეს ლოდები ერთმანეთს მიყრდნობოდნენ და გამოქვამულის შესასვლელს ჰქმნიდნენ. რეზოს ფარნით გზა გავინათეთ და გამოქვამულში შევედით. შიგ ისე ციოდა და ისეთი ქარი ჰქროდა, რომ სიცივემ ავციტანა. მაგრამ გამოქვამული დავათვალიერეთ და გამოვედით. ის იყო შინისაკენ გამოვსწიეთ, რომ დათო მეორე გამოქვამულს წააწყდა! იგი შედარებით პატარა აღმოჩნდა, მაგრამ უფრო მზიანი და ლამაზი იყო.

ჩვენთვის გამოქვამულის აღმოჩენა დიდი სიხარული იყო.

მალე შინ დავბრუნდით და გადავწყვიტეთ მეორე დღეს გამოქვამულები საგულდაგულოდ დავგვეთვალიერებინა, მაგრამ...

ვერცერთი გამოქვამული ვეღარ აღმოვაჩინეთ და იგი ჩვენთვის აღმოუჩინელ ოცნებად იქცა.

გიბ ნარიშანაშვილი,

თბილისის 53-ე საშუალო სკოლა, VII კლასი.

ქვირუასო რეაქცია!

„აისში“ მე წავიკითხე დალი ბიგვავას წერილი და ძალიან დამწყდა გული, რომ ზოგიერთი ჭორიკანა გოგონას აყოლით ამხანაგებს შორის კლასში ასეთი დამოკიდებულება ყოფილა.

წერილის ავტორს ვურჩევ, ეს საკითხი რაზმის შეკრებაზე ანდა კლასის კრებაზე განიხილოს, დაუმტკიცონ გოგონებს, რომ ბიჭებთან მეგობრობა ზოგჯერ გოგონებთან მეგობრობას აჯობს, და თვითონაც იმეგობრონ ბიჭებთან. ძალიან მაინტერესებს, ნეტავ თუ კითხულობდნენ ეს ჭორიკანები გზავთ „ნორჩ ლენინელში“ „ფიქრის გორას“. ალბათ არა, რომ წაეკითხათ, აუცილებლად მიხვდებოდნენ, რომ დამნაშავენი არიან და უთუოდ გამოსწორდებოდნენ.

ჩემს კლასში ბიჭებსა და გოგონებს შორის დაძმური დამოკიდებულებაა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით სკოლის მასწავლებლებს, რომლებიც ერთმანეთის სიყვარულსა და პატივისცემას გვინერგავენ მოსწავლეებს.

ნანა ქალაგიშვილი,

გურჯაანის რაიონის სოფ. კარდანახის საშუალო სკოლა, VII კლასი.



ღმერთი პალატაში

ცოტახანს იწვიმა. მცხუნვარე მზემ მალე ააშრო ნაწვიმარი. აქა-იქ ღრმადლა იყო ბალახი სველი. გვიმრის ძირებშიც შერჩა სინოტივე. ხევისწყალი ასამღვრე-ვად მოემზადა, მაგრამ ისიც მალე დაშოშმინდა, მზის სხივები აილიცლიცა და კამკამა კული მოიქნია.

ჩვენი თხები მადიანად ბალახობ-დნენ, მერე ჩრდილში მიწვნენ, თვალე-ბის ნაბვით და წვერის ცანცარით ცოხ-ნას შეუდგნენ. ყანისპირს პანტას ფეხი ჰკრა და ხის ძირას უუჟუნა წვიმა მოი-ყვანა მეტამ.

— დაწყნარდი, გოგო, — შეუტია ჭაპულომ.

— ენა გააჩერე, „ნაჩალნიკ!“ — ჩაიკისკისა მეტიამ და კარვიდან გამო-დიო, ხელით მანიშნა.

— არ მოგწყინდა მანდ ჯდომა?, — ჩამეკითხა, — რამე ვითამაშოთ... — რა გავაკეთოთ? — არ ისვენებდა მეტია.

მივიხედ-მოვიხედე. ხესთან საცო-დავად იდგა მეტიას ჭრელი თხა, უკანა ფეხი აეკანჭურებინა. კოჭთან ფეხი თითქმის გადახსნოდა და მხოლოდ ტყავზე ეკიდა.

— მოდი, შენს თხას ოპერაცია გავუ-კეთოთ.

— გაგიჟდი?! — გაცოცხდა მეტია და შუბლი შეიკრა, თან თხას აღმაცერად გახედა, — მომკლავს ნინა.

— ვინაა, გოგო, შენი ნინა, დედა ასე უნდა ახსენო? — კარვიდან თავი გამოყო ჭაპულომ, — შენც ნუ გადი-რიე, — მეც შემომიტი.

— ბოდიში თქვენთან! — თვალის ჩამიკრა მეტიამ და ჭაპულოს თავი მდაბლად დაუკრა, — შენ ნენამ მგონი გითხრა, ადრე ჩამოდით სამწყემსური-დან, ორ თხას ერთი მეტიაც მოუკლისო. მიბრძანდი, ბატონო, აჯობებს!.. — უკან ხელები დაიწყო მეტიამ და დიდგაცურად ბოლთის ცემას მოჰყვა.

ამისი თქმა იყო და მართლაც გოგო-ების დედის ხმა გაისმა. „ჭაპულომ!“ — იძახდა დედა ნინა.

ჭაპულო უხალისოდ წამოდგა. „მოვდივარ!“ ერთი წამოიყვირა და წავიდა, მერე მობრუნდა, გვიმრას კატარი წაატეხა და საქციელწამხდარმა გამოგვძახა:

— თხას ხელი არ ახლოთ, თორემ ვაი თქვენი ბრალი...

— არა, აპ?! — დაემანჭა მეტია. — არიქა, ჯანიკო, — სწრაფად მომიბრუნ-და. — ჩქარა, სანამ ეგ ამოვიდოდეს უკან.

შეგტრიალდი, დადმართზე დავეშვი და წუთში შინ გავეჩნდი. ბედზე ბიძა-



ქაჯაჯა

«თხა»

ჩემი არ იყო აფთიაქში, სერგო იდგა და ფხვნილებს ახვევდა.

— გინდა რამე? — მკითხა სერგომ და გამიღიმა.

— ბინტი, ბამბა, იოდი, ნემსი, ძაფი, მაკრატელი ან დანა—საოპერაციო.

— რად გინდა, — ჯერ ყურიც არ მათხოვა სერგომ.

— ჩქარა სერგო, შენი ჭირიმე! მეტიამ ფეხი იტკინა და გამომგზავნეს.

სერგომ ერთი წუთით მუშაობას თავი ანება და შემომაჩერდა. მერე კრიალა, ყავისფერი კარადის უჯრიდან მოზრდი-ლი შეკვრა ამოიღო და მომაწოდა.

— ამაშია ყველაფერი, თუ გინდა, გამოგყვები.

შეკვრას ხელი წავავლე, უკან აღარ მომიხედავს, ისე გავვარდი და მხოლოდ ხელით ვანიშნე არ წამოსულიყო.

მეტიას თხა კარავში შეეთრია და ახლად დამტვრეულ ანწლის ტოტებზე წაექცია. საწყალ თხას თავი წამოეწია და უაზრო, წყლისფერი თვალებით მოგვეტყუებოდა.

— მოიტანე? — ისე ხმადაბლა თქვა მეტიამ, თითქოს ემინოდა, თხას არ შეშინებოდა ოპერაციის.

— ეს რა სუნი უდის ამ ანწლს, — დავიმანჭე.

— ბოდიში. ანწლი ესაა და ვარდებს ოპერაციის მერე მოგართმევ, — ვაგვე-ცინა ორივეს.

ჩავეჯექი, შეკრულა გავხსენი, დიდი-თეთრი ქალღლი მიწაზე დავეინე და ზედ ოპერაციისათვის საჭირო ნივთები დავაწვე. კრიალა მაკრატელი გასან-თლულ ქალღლში იყო შეხვეული, კაუჭა ნემსი და მშვენეირი, აბრეშუმის დაგრეხილი ძაფი ერთიბეწო შუშაში ეყარა. ცოტაც და ყველაფერი მზად იყო. მეტიამ თხას ფეხი გაუკავა, თვითონ ზემოდან დააწვა, მე კი იოდი წაცეხე ნატკენ ფეხზე, მერე მოვიმარჯვე მაკრა-ტელი და გამოცდილი ქირურგივით კანს გადაჭრა დავეწვე.

— ცოტა კანი დაუტოვე გასაკერად, შე შეჩვენებულო, — ჩამჩურჩულა მეტიამ და აფართხალბეული თხა ძლივს გააკავა. კანის გადაჭრას რომ მოვრჩი, უცებ, საიდანღაც იფეთქა სისხლმა. იოდის ბოთლს საცობი კბილებით ამოვადრე და ყავისფერი სითხე ჭრილობაზე დავეშვი. არ ვიცე, რამ გვიშველა, სისხლი ცოტა ხანში შეწყდა. სასწრაფოდ დავეწვე კანის გაკერვა, მაგრამ რას ვკერავდი, მეც არ ვიცოდი. მერე სახვევები დავადლო და თხას დავეხდე.

— ცოტახანს იწვიქით, ქალბატონო თხა, მერე კი შეგიძლიათ აბრძანდეთ, — გავიღიმიე, მაგრამ ვიკრძენი, რომ გამო-მელა ძალა ხელ-ფეხში.

— რა იყო, ჯანიკო? — შეშინებუ-ლი შემომტყუროდა მეტია.

— რა იყო? — მეც შემეშინდა.

— მკვდრის ფერი გადევს, რაღა რა იყო... ჰა, დალიე წყალი, — პატარა, სველი ხელად მომაწოდა მეტიამ.

წყალი პირში ჩავისხი და მართლა მოესულიერდი, კარვის კედელს მივეყრ-დენი. ვცდილობდი სისხლისათვის

თვალი ამერიდებინა. თხა აფართხალდა და ფეხზე წამოდგომა დააპირა. მეტია ისევე გადაეფოფრა და დააწვინა.

ფეხის ხმა გაისმა. მეტიამ ყურები ცქვიტა.

— თუ დაიძახეს, ხმა არ გასცე.

— მეტიაა, ჯანიკო! — იძახდა ოლიკო.

გავისუსეთ.

ისევე დაიძახა ოლიკომ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიბღავლა თხამ.

— უ, სამგლევე, — ბრაზით მუშტი მოუღერა მეტიამ.

— მიაბარე ახლა ამათ საქონელი, — თქვა ოლიკომ და კარავში თავი შემოყო.

— ვაი, დედა, გული არ გამიხეთქეთ? — მართლა შეეშინდა გოგოს.

— კარგი, კარგი, მომკლა შენმა სუსტმა გულმა, — ტურები მოპრუწა მეტიამ, — გინდა რამე?

— რა უნდა მინდოდეს? შენი თხის პეტელე მომესმა და წამოვედი, მაღლობელი არა ხარ?! — იწყინა ოლიკომ, და გაბუტული გაბრუნდა.

— უჰ, დამალა ამ საოხრემ, — ხელი გაუშვა მეტიამ თხას.

— ნუ იცი, მეტია, შენ ევრე. არ უნდა გეწყინებინა ოლიკოსათვის.

— მერე ჭყინტი სიმინდს მოვხარავ, გადავძახებ და შემირიდება, — გაიკრიჭა მეტია, — შენც ხომ გიყვარს ჭყინტი სიმინდი.

— მე რომ ასე დამელაპარაკო, ჭყინტი სიმინდით კი არა, ერთი კალათი ლეღვით ვერ შემირიდებ.

— შენ ვინ გაადრებს, ბატონო, — სიცილი ატება მეტიამ. — ლეღვზე მომაგონდა, — სინათლე ჩაუდგა მერე თვალებში, — გაღმა, ტყეში, იცი რამდენი ლეღვია თურმე? ანდრომ და ვარდენმა გამოიტანეს ამბავი, ბიძაშენს ახლდნენ სანადიროდ შაბათს.

ნაოპერაციევი თხა ამდგარიყო, უკანა შეხვეული ფეხი აეკანჭურებინა და კარვის ზღურბლიდან შემოგვეყურებდა.

— გამობრძანდი, გამობრძანდი, — დაუძახა მეტიამ და თხაც თავის ქნევით, თითქოს მარჯვედ გამოვიდა.

— არიქა, არიქა, ივარგე, თხაო! — შეევედრა მეტია.

საწყალი თხა ძლივს მობაკუნობდა. ხან კუდს გააქიცინებდა და ხან ნაოპერაციევი ფეხს აიქნევდა უშნოდ.

მეტიამ, ისე რომ არავის შეემჩნია, თხა სადგომში შეიყვანა და კარი გამოიხურა.

— თხის მოსაწველად რომ მივა დედაშენი, რას იზამ? — ჩავეკითხე.

— მოიცა, წინასწარ ნუ მიხეთქავ გულს, — თქვა მეტიამ და ისევე გაბრუნდა ეზოში.

მე ჩემი თხები გამოვირეკე და ჭიშკართან ჩამოვედი.

— რას შევბა მეტია? — მეტიამ ბუციამ, შევედი თუ არა შინ.

— არა უშავს.

— სახვევები რად გინდოდა? — ეჭვით მეტიამ კოტემ.

გავუღიმე და ტურზე თითი მივიდე: — სუუ, თხას ოპერაცია გავუკეთეთ.

კოტემ ხმამალა გაიცინა და ისევე წიგნს მიუბრუნდა.

— შენს თხას, თუ სხვისას? — მაინც ჩამეკითხა.

— მეტიას თხას.

— მაინც რა ოპერაცია გავუკეთეთ? რომ მოკვდეს! — მართლა შემფოთდა კოტე.

— რაც ზედმეტი ჰქონდა, ის წავაჭერით;

— ზედმეტი? რა ჰქონდა ზედმეტი, ჯანიკო, გაგიჟდი? — სიცილს ძლივს იკავებდა კოტე.

— იცი, როგორ აწვალება? ფეხებთან აკრუტუნებულ კატას დავწვიდი და ავიყვანე... — ფისო, ფისო, — დაცქვეტილ ყურში ჩაეჭურჩულე.

— წაიღე, ეგ კაბა გამოიცვალე და ხელები კარგად დაიბანე.

— ესლავე. — კაბას დახედე, კალთა მართლა სისხლით მომსვროდა. კატა სასწრაფოდ იატაკზე დავსვი და უკანა აივანზე გავედი.

ცისფერი რიჟრაჟი მოადგა ფანჯრებს. მამლები გაუთავებლად გაჰყიდნენ. ვიღაცამ ჭიშკარი ააჭრიალა. აივანზე ძალი ადგა და იმ ვიღაცას მიელაქუცა. კედლისკენ გადავბრუნდი და ისევე ჩამეძინა.

— ჯანიკო, ჯანიკო! — ჩუმად ჩამახოლა მეტია. — ადექი, ლეღვი დაგავიწყდა?

ორ წუთში მზად ვიყავი. ბიძია გიორგის გამომცხვარ პურს ყუა ორ ადგილას წავამტვრიე, ერთი მეტიას მივაწოდე, მეორეს დაბრაწული წვერი წავაჭამე.

გამიკვირდა, ჭიშკრის წინ ათიოდე ბავშვი გველოდა, აივანზე ბუცია გამოვიდა, შეკითხვა აღარ დავაცადე და მივაძახე.

— ლეღვზე მივდივართ, გაღმა. — მთისკენ გავიშვირე ხელი.

— ჭკვიანად იყავით. — გამიღიმა და შინ შებრუნდა.

— ცივა, იცი? — მითხრა მეტიამ და მხრები აათამაშა.

ჩელტის ხიდი სიცილ-კისკისით გავიარეთ, მეტია წინ გარბოდა და ხტუნაობდა. ხიდი ისეთი ძალით ირხეოდა, სახელურები რომ არ ჰქონოდა, ტყაპატყუპით გადავცვივდებოდით მდინარეში.

ხევის წყალზე ნისლი ნელა, ძალიან ნელა დგებოდა, ცისფრად ადიოდა, ადი-

ოდა მალა და სწრაფად იკარგებოდა. ალაგ-ალაგ მზის სხივები შოლტებრივად ვარდებოდნენ კრიალა მდინარის წყარზე, წყალი თვალისმომჭრელად ღლიცლიცებდა.

ტყე პირდაპირ მთის ძირიდან იწყებოდა. ქვემოთ თითქმის ბნელოდა, ზევით და ზევით კი ტყეებს ნათელი ეფინებოდა და ნისლი ხეებს შორის ისე დადიოდა, თითქოს ტყიდან გასასვლელს დაექმსო. ტყე, ის იყო, იღვიძებდა. ჩიტები ტოტიდან ტოტზე ხტოდნენ და ჭიკჭიკებდნენ, თითქოს ერთმანეთს ეხმანებოდნენ თუ ეალერსებოდნენ. ორიოდ დაჯუჯავებული და დაღვარჭინილი ბზის ბურქიც იდგა უხარამზარი მუხის ძირას. რა უნდოდა ამ ბზას აქ! ქარის მოტანილი თესლით გაიზარდა თუ სახლი იდგა ოდესღაც აქ და ბზაც ვიღაცის აყვავებულ ეზოს ამშვენებდა? ვინ იცის, იქნებ მონასტერიც იყო გაშენებული... ვინ იცის...

ცოტა მალა უხარამზარი ქვა, ბრტყელი და თეთრი, ზოგ ადგილას ჩანაცრისფერებული შურგით ისე აკვროდა მთას, თითქოს დაგორებისა ეშინიაო. ტყიან მთაში შავიწიწა ნიადაგი იყო, ეს ლოდი საიდან გაჩნდა ნეტავი? ამბობენ, თითქოს ამიტომაც ჰქვია ამ სოფელს ქვაყუდე—ეს ქვა მართლაც აყუდებულს ჰგავს თუ მიყუდებულს. ზოგი ამბობს, ბატონისაგან გამოქცეული ყმა დასახლებულა აქ, ქვასთან დაეყუდნაო, ვფიქრობდი და მივყვებოდი მეგობრებს უკან. უეცრად მათი სიმღერა ჩამესმა. ალბათ დიდისხანა მღერიან-მეთქი, გავიფიქრე, მივიხედე — უკან მეტია და ამირანი მომყვებოდნენ. მეტია კრიმანჭულს ამბობდა, ამირანი მოძახილს ეუბნებოდა.

მწვანე ბუჩქნარში იასამინისფერი ყვავილები მოფანტულიყვნენ, ჯადოქარმა თუ გადაუსვა ხელი ხრიოკს და ყვავილები ამოჟუჟუნდნენ. ყვავილები დასაკრეფად ვერ გავიმეტე, ჭაპულომ ხელი გადამხვია და ორ დიდ ხეს შორის გავძვირით.

— მარჯვნივ, მარჯვნივ! — დაიძახა ვილაცამ.

მართლაც მარჯვნივ, პატარა, ხასხასა მდელიოზე ორი დიდი ლეღვის ხე იდგანასხლარს გავდა იქაურობა. სევდა შემომაწვა. იქვე გაგორებულ, დახავსებულ მორზე ჩამოვჯექი.

— ჭიანჭველა არ შეგვისოს, — მითხრა ოლიკომ და ხეს მარდად შეახტა. მსხვილტანიანი, უხარამზარტოტებდა-შეგებული ლეღვები იდგნენ და თითქოს მართლა ჩვენ გველოდნენ. ერთი ხე თეთრი ლეღვისა იყო და მეორე შავის. თეთრ ლეღვებს ცალი მხარე შესწითლებოდათ, — „ალბათ ერთმანეთს მტვერავენ“ — გავიფიქრე.

ჩემს მეტი ყველა ხეზე მოექცა წამში.
— ჯერ ქვემოთა ტოტებიდან ჭამე, რომ გათავდება, მერე ზემოდან ჩამოგიტან, — გადმომძახა აჩიკომ და ერთი ფუმფულა, თეთრი, წითლად პირგაპობილი ლეღვი გადმომიგდო. ლეღვმა ტყაპანი მოადინა ჩემს ხელებში.
თაფლის სუნი დატრიალდა ირგვლივ, ტკბილი იყო ლეღვი.
ხეების ძირას, ზემოდან ჩამოყრილი ლეღვის კანებით ერთ წამში მიწა მოიფარა. ტკბილსა და ცივ-ცივ ლეღვს ყუნწში რძე სდიოდა. ლეღვი თანდათან

გემრიელდებოდა, მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო ტკბილს ვეძებდით. ბოლოს ჭამა უკვე აღარ შეგვეძლო, მოგვიმსუყდა გული. კალათის ფსკერზე ლეღვის ფოთლები ჩავაგე და ცივი, დაშაქრული ლეღვები ყუნწებით მაღლა დავაწყე.
უეცრად რაღაც ტკივილი ვიგრძენი ცერზე, ფრჩხილთან. დავიხედე და რას ვხედავ—გამწითლებია, თითქოს მდულარე გადამესხაო.
— რას უყურებ? — გაეცინა ოთარს.
— ნახე?

— ვერე იცის ლეღვმა. — დამამშვიდა და ოთარმა.
— დაგუსხსა? მეც, — ცერა თითი მაჩვენა ნუნემ.
— ალბათ თავის დასაცავი საშუალებაა, — ვთქვი და ტოტს ფოთოლი წავაწყვიტე — ნახე, აქაც რამდენი რძე მოსდის. ცოლოა...
— ძალიან, ძალიან, — გაიცინა მეტიამ. — კარგად იცლაპებოდით?!.. რძე კი არა, ხანჯლები რომ ჰქონოდა თავის დასაცავად, თქვენ ვინ მოგიგერიებდათ, — თინბაზობდა ის და ჩვენც გულიანად ვიცინოდით.

ტყის ნამმა თმა და ტანსაცმელი დაგვიანამა. კალათში ჩაკრფილ ლეღვზე მარგალიტებივით ეყარა რძის წვეთები და რაღაც მომწარო, საამო სურნელი მოგვეყვებოდა უკან.

ტყეში ირიბულად შემოიჭრა მზის სხივი და შეცივსულებს ზურგი საამოდ გაგვიტოზ.

მთიდან სირბილით დავეშვიტე, დაბლა უკვე ცხვლოდა. მდინარის გაღმობას ხმა შემოგვესმა, შევჩერდით და შეშინებულგბმა ყური მივუვადეთ!

— მეტია! მეტია! სასიკვდილე მეტიელა! — კიოდა დეიდა ნინა.

— თხა თუ მოკვდა? — თქვა შეცბუნებულმა მეტიამ.

— რატომ მოკვდებოდა? — გავოცდი.

— რატომ მოკვდებოდა!.. — სიცილი შესკდათ ბავშვებს, მე არ გამეცინა.

მეტიამ პირი იბრუნა და უკან, ტყეში დააპირა შებრუნება.

— ყაჩაღად გინდა გაიჭრა? — ხელი სტაცა ჭაპულომ, — რა იცი, რატომ გეძახის.

— მეტიელა, შე გასაკლევო, მეტიელა! — ისევ ცივი ხმით გაჰკიოდა დეიდა ნინა...

სირბილით ჩავუარეთ დუქნებს და ხიდზე გავედით, აღმართიც სირბილით ავლიეთ. აფთიაქში სერგო რეცეპტებს ართმევდა ავადმყოფებს. ბიძაჩემი „პულტრასთან“ იღვა თეთრ ხალათში და მუშაობდა.

ბუცია და კოტი არ ჩანდნენ.

— მოხვედი? — გაეცინა სერგოს, — ქირურგო?

„ცუდადაა საქმე“ — გავიფიქრე. კალათი აჩქარებით შემოვადგი მაგიდაზე, მერე სირბილით გამოვბრუნდი და ზედ ჭიშკართან მივეწვიე ჩემს მეგობრებს.

სამზადი სახლის წინ თავმოჭრილი თხა იდო. ცანცარაწვერებიანი, თვალედაჭყეტილი თავი ხის ტოტიდან საყვედურით გადმოგვეყურებდა მე და მეტიას.



ახლახან მას საიუბილეო თარიღი — ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანის კეთილი მოგონებაა დაკავშირებული ზოოპარკთან. აქ ფართოდ არის გაშლილი სამეცნიერო მუშაობაც. გარეულ ნადირ-ფრინველს აკვირდებიან, სწავლობენ მეცნიერ-მუშაკები; აქ საწარმოო პრაქტიკას გადიან სტუდენტები, მოსწავლეები, საინტერესო საქმიანობას ეწევიან ნორჩ ნატურალისტთა წრეები.

დაწვევა

შოკვადილიანთა პარკი

(დასასრული)



თბილისის ზოოპარკში ამჟამად საკმაოდ ბევრი — 244 სახეობის ცხოველია წარმოდგენილი. მათ შორის ყველაზე ძველი ბინადარია ინდური სპილო, „მალკა“. მას შარშან 40 წელი შეუსრულდა. მდინარე ვერეს ხეობის მოხერხებული რელიეფი სათანადოდ „აუთვისებიათ“ სხვადასხვა ძუძუმწოვრებს, ჩლიქოსნებს, ფრინველებს. მათ შორის ბევრია იგავებისა და ზღაპრების კარგად ნაცნობი გმირები: ნადირთ მეფე ლომი, პირსისხლიანი მგელი, გაიძვერა მელაკულა...

ამ ბოლო წლებში, გარეულ ცხოველთა მოვლა-პატრონობის მიზნით თბილისის ზოოპარკში ბევრი კარგი რამ გაკეთდა. მთელ ტერიტორიაზე გაიყვანეს კანალიზაცია. შეიცვალა ძველი წყალსადენი, მოეწყო ცენტრალური გათბობა, ცხელი წყალი შევიდა ცხოველთა ადგილსამყოფელში, რეკონსტრუქცია გაუკეთდა სადგომებს, გალიებს, დაიდგა ახალი ვოლიერები.

მაგრამ, სასურველია, მომავალში ჩვენც გვქონდეს ისეთი ზოოპარკი, როგორც მთელ რიგ სხვა ქვეყნებშია — ბუნებრივ პირობებთან მაქსიმალურად დაახლოებული, ეკოლოგიური პრინციპით მოწყობილი „ჯუნგლები და სავანები“.

არნ. გეგუაშვილი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.



ს კ ა უ ტ ე ბ ი

ეს ამბავი ნიუ-იორკის ახლოს, ქალაქ ჩრდილო კლივლენდში მოხდა, ვიეტნამში ამერიკელთა აგრესიის დროს, ყველა, დიდი თუ პატარა, საახალწლო დღესასწაულისათვის ემზადებოდა. ყიდულობდნენ ნაძვის ხეს, სათამაშოებს, ტკბილეულს, საახალწლო ბარათებს. სკოლაში მიმიწვიეს და ვნახე, როგორ ემზადებოდნენ მოსწავლეები ზემისათვის. დიდ დარბაზში ჩნაური იდგა. გოგო-ბიჭები (ყველას სკაუტების ფორმა ეცვა) თავთავიანთ საყვარელ საქმეს აკეთებდნენ, ვიღაც ხატავდა, ვიღაც სათამაშოს აწებებდა. გოგოები ცეკვას სწავლობდნენ.

როცა დღესასწაული დამთავრდა, ყოველმა მათგანმა როიალზე დადებულ ზონჩაზე რამდენიმე ლითონის ფული დააწყო. ჯგუფის უფროსს ვკითხე, რაშია-მეთქი საქმე. მიპასუხა: „ახლა ვიეტნამში მყოფი ჩვენი ჯარისკაცებისათვისაც საახალწლო დღესასწაულია... ჰოდა, ბავშვები მათთვის ფულს აგროვებენ...“ (ე. ი. იმათთვის, ვინც შორეულ ვიეტნამში ბომბავდა სოფლებსა და ქალაქებს, ხოცავდა მშვიდობიან მოსახლეობას და ბავშვებს).

ამ დროს კი ჩვენს პიონერთა რაზმეულებში აი რა ხდებოდა: ბავშვები მებრძოლი ვიეტნამის პატარებისათვის აგროვებდნენ ჩანთებს, რეეულებს, საწერ კალმებს, ფანქრებსა და სათამაშოებს. და ყოველივე ამას ყიდულობდნენ თავიანთი გამომუშავებული ფულით, ჯართისა და მაკულატურის ჩაბარებაში აღებული ფულით. ერთმა ლენინგრადელმა მოსწავლემ ახალთ-ახალ ჩანთაში თოჯინა ჩადო და ზედ ასეთი წერილი მიაცოლა: „ეს ჩემი საყვარელი თოჯინაა. ითამაშოს ამ თოჯინით ჩემმა ვიეტნამელმა მეგობარმა“. ნოვოროსიისკიდან და ვლადივოსტოკიდან ორმა საბჭოთა გემმა წაიღო ეს საჩუქრები ვიეტნამში.

შენ ალბათ უკვე მიხვდი, თუ რაოდენ დიდი განსხვავებაა ვიეტნამისადმი სკაუტებისა და პიონერების დამოკიდებულებაში.

ვინ არიან ეს სკაუტები? სკაუტი (ინგლისური სიტყვაა, ნიშნავს — „მზვერავს“) ბურჟუაზიული საბავშვო ორგანიზაციის წევრია. ბოი-სკაუტი — მზვერავი ბიჭია, გერა-სკაუტი — მზვერავი გოგო. ბევრ

ქვეყანაში ბიჭებისა და გოგონების ორგანიზაცია ცალ-ცალკე არსებობს. მეფის რუსეთშიაც იყო სკაუტების ორგანიზაცია. ოქტომბრის რევოლუციის დროს ისინი მშრომელთა მტრების მხარეს დადგნენ, დენიკინს, კოლჩაკს, კრასნოვს ამოუდგნენ გვერდით. 1919 წელს რუსეთის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის II ყრილობამ ქვეყანაში არსებული სკაუტების ყველა ორგანიზაცია დაშლილად გამოაცხადა.

სკაუტებს აქვთ თავიანთი ფიცი, კანონი, ფორმა, განმასხვავებელი ნიშნები, ჯილდოები. თავიანთი ფიცი და კანონი მოუწოდებთ: იყვნენ ღმერთისა და ხელმძღვანელების ერთგულნი. სკაუტების ორგანიზაციებს აფინანსებენ მდიდარი კაპიტალისტები და ბურჟუაზიული სახელმწიფოები. მათივე ფულით ეწყობა სკაუტების ბანაკები, ასეთ ბანაკებში სკაუტები ვარჯიშობენ სპორტში, ტურიზმში, ტექნიკაში, სამხედრო საქმეში...

უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე, მსოფლიოში უზარმაზარი ცვლილებები მოხდა. აზიასა და აფრიკაში ბევრი ქვეყანა ვანთავისუფლდა კოლონიზატორთა პატრონობისაგან. ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება ალჟირიც, იქაც არის სკაუტების ორგანიზაცია, მაგრამ მისი მიზანია: დაეხმაროს თავის ხალხს სოციალიზმის აშენებაში, მშვიდობისათვის ბრძოლაში... აფრიკისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების სკაუტთა ორგანიზაციებთან ჩვენს პიონერებს მეგობრული ურთიერთობა აქვთ, მათი დელეგატები ჩამოდიან ჩვენს ქვეყანაში.

ს. სლავინი.





**შეჯიბრება
ატმოსფეროში**

ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალში, სადაც ძველი ისტორიის ამბები შექმნილია, გამოქვეყნდა სტატია იმის შესახებ, რომ ბევრი წამალი, რომლებსაც ატეკები 800 წლის წინათ იყენებდნენ, უფრო ეფექტური იყო, ვიდრე თანამედროვე ტაბლეტები და მიქსტურები. მაგალითად, ბალახებისა და ფესვების ნაყენები მშვენივრად არჩენდნენ შაკის, ფილტვების ანთებას, ჩირქოვან ჭრილობებს. ისტორიკოსთა ასეთმა განცხადებამ ფარმაკოლოგები აღაშფოთა, შეეშინდათ, — ძველი აფთიაქების ქება ჩვენს მიღწევებს ჩრდილი არ მიაყენოსო. მათ განაცხადებ, რომ ატეკების წამლები მხოლოდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდნენ აღამიანზე. შეიქმნა საგანგებო კომისია ამ წამლების გამოსაკვლედად. და აი რა გამოიკვია: თურმე მართო ბევრი წამალი კი არა, ატეკური წამლების რეცეპტთა 70 პროცენტი თამამად გაეჭიბრება ჩვენი დროის პრეპარატებს.

არ მოეწონათ

ტოკიოს ერთი ავტომატიზირებული მაღაზია, რომლის აშენებაც 400 მილიონი იენი დაიხარჯა, ამას წინათ საბოლოოდ დაკეტეს, რადგან ძალზე ცოტა ჰყავდა მუშტარი. ერთი შეხედვით იქ ყველაფერი

თითქოს რიგიანად იყო მოწყობილი — 60 ხავაჭრო ავტომატი 2500 სახის სურსათს ჰყიდდა, ყოველგვარ ანგარიშს კომპიუტერი აწარმოებდა. და მაინც, მყიდველი არ ეტანებოდა. ამავე დროს კი მაღაზიის ერთ-ერთი განყოფილება, სადაც ავტომატების ნაცვლად აღამიანები მუშაობდნენ, სრულიადაც არ უჩიოდა მუშტრის ნაკლებობას, აქ შეგვეძლო კარგად შეგეთვალიერებინა შენთვის საჭირო რამე, მოგესმინა გამყიდველის რჩევები, ან ერთი-ორი სიტყვით გახუმრებოდი მას. ჰოდა, იაპონელებმა, რომლებიც მიჩვეული იყვნენ გამყიდველთან ტრადიციულ თავაზიანობასა და ყურადღებას, არ მოიწონეს უსულგულო ავტომატებით ვაჭრობის ხერხი. ვერ გაჭრა რამდენიმე თავაზიანმა ფრაზამაც: „მოხარული ვიქნებით, თუ მეორედაც განახავთ“, „გმაღლობთ ჩვენთან ყიდვისათვის“ და სხვა, რომელთაც წარმოუქვამდნენ შესაბამისად დაპროგრამირებული ხავაჭრო ავტომატები.

**პროგრესის
მოწინააღმდეგენი**

ახალი ზელანდიის ერთ-ერთი პროვინციის მეცხოველეებმა შენიშნეს, რომ ძროხები კატასტროფული სისწრაფით ბრმავდებო-



დნენ. იფიქრეს, ამის მიზეზი, ალბათ, არაა მელიდაც უცნობი ვირუსიო და სწავლად ვეტერანებს მოუხმეს. სპეციალისტებმა არცთუ იოლად დახვეს დიაგნოზი: ვირუსი აქ არაფერ შუაშია. იმ მიდამოებში გაზსადენი გაჰყავთ და საძოვარზე მყოფი ძროხები ხათობით გოცებულნი მოშტერებიან მიღების შედეგებსო. ოკლენდის ერთ-ერთი



ფირმის თანამშრომლებმა აწონ-დაწონეს შექმნილი ვითარება და ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს: საჭიროა შავი სათვალის დაშვადება ცნობისმოყვარე პირთუტყვისათვის. მაგრამ, ამ სიახლეს ყველა ფერმერი როდი შეხვდა სიხარულით. ზოგიერთმა კატეგორიული პროტესტიც კი განაცხადა: ხომ შეიძლება შავსათვალის ძროხის რძე გამოქვდესო.

რა
ჰქანას
ტანამ!

ამერიკის ქალქ სან-დიეგოს ზოოლოგიურ პარკში ცხოვრობს არაჩვეულებრივი გველი. — მას ორი თავი აქვს. საინტერესო კიდეც არის, რომ ორივე თავი ცალ-ცალკე, თავის ჭკუაზე იქცევა. მაგალითად, როცა, ვთქვათ, ერთ თავს უნდა თავს მივარდეს, მეორე იმ დროს ხელიკისკენ მიიწევს და ა. შ. ეს კი, ცხადია, დიდ გასაჭირში აგდებს ქვეწარმავლის ტანს.

**უსსოური
რუმოლი**

გამოცდაზე

ბოტანიკოსმა ლინკმა სტუდენტს ჰკითხა:
— რაგორ წარმოიშობა ჩრდილოეთის ცილი?
— ეგ კარგად ვიცოდი და ახლავე გავისხენებ, — მიუგო სტუდენტმა.
— გვიყავით სიკეთე, — გაელიმა ლინკს, — ამის შესახებ არამცთუ მე, აკადემიამაც კი ჯერ არაფერი იცის.

სივრთხილე

— დედიკო, მომეცი რა, მანეთი.
— რომელი გინდა, ლითონისა თუ ქალაღის?
— ლითონისა ქალაღისაში შემიხვიე, რომ არ დამეკარგოს.

შებრალება

— დედიკო, მომეცი სასწრაფოდ ერთი მარკა. ჭუჩის კუთხეში კაცი დგას და ყვირის, იმას უნდა მივცე.
— უჰ, საწყალი! რაო, რასა ყვირის?
— ნაყინი ერთი მარკა ღირსო.

საკვირველება

— მართალია, მამიკო, რომ დიდი თევზები სარდინს ჰქაენ?
— ჰო, შვილო.
— ნეტავ ყუთებს როგორღა ხსნიან?! — გაუკვირდა ყმაწვილს.

ტყუილი

— მთელ ჩემს სიცოცხლეში სულ სამი ტყუილი თუ მექნება ნათქვამი, — არწმუნებდა ფრიცი ამხანაგს.
— ამასთან ერთად ოთხი გამოვა, — გაუღიმა მან.

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა.



მტვერსასრუტი, გარდა თავისი დანიშნულებისა, შეიძლება განმნიშვებელ ხელსაწყოდაც გამოიყენო. თუ გინდა მტვერისა და ჩალაბურღისაგან ლობიოს, სიმინდის ან პურის მარცვლის გაწმენდა, მარცვლები ვარცლში ჩაყარე და მტვერსასრუტით ჰაერის ჭავლი მიუშვი.

მაგრები ცერზე შედგება. შემდეგ ჭანჭიკი მაგრად მოუჭირე.



ახალ სახლებში ხშირად ფანჯრებს შუკუმს არ უკეთებენ. ეს ნაკლი შეგიძლია ასე გამოასწორო. მინა ამოიღე და გარეთა მხრიდან ფანჯრის ჩარჩოში ორგანული მინის დაბალი ტიხარი ჩაამაგრე და ორი ვიწრო სამაგრი თამასა მიატედე.



ორგანული მინისაგან ხელსაწყოებისათვის ლამაზი სახელურების გაკეთება არც ისე ძნელია. ამისათვის ხელის დრელს პირში უნდა ჩაუმაგრო ხელსაწყო (ქლიბი, სატეხი თუ სხვა რამ.) და ტარში ჩაბურღო. ორგანული მინა (ამ შემთხვევაში ტარი) ხურდება და შიგ ლითონის ყუთა იოლად შედის. გაცივების შემდეგ პლასტმასა მაგრად ჩაედღებება ლითონს.

კარი თუ კარგად არ იხურება, ტყავის ნაცვლად უმჯობესია საყრდენ ძვიდეს რეზინის მილის გადანაჭერი მიატელო.

ისეთი თხელი ტიხარის გასამაგრებლად, რომელსაც უკანიდან ვერ მიუღებები, შეიძლება ამდაგვარი კუთხვილიანი მოგროხო სარჭი იხმარო. იგი წინასწარ მომზადებულ ნახვრეტში უნდა გაუყარო და შეანჯღრიო. უკანა მხარის სა-



საკითხავი

ბახტაძე ბ. — მსოფლიოს ბავშვთა ძმობის ზეიმი (ნარკვევი)	1	ქ. კილაშვილისა)	19
კოსტანიძე პ. — დიდი ისტორიული დოკუმენტი (საუბარი მესამე)	8	გეგეჭკორი ბ. დუვიწყარ შთაბეჭდილებათა პარკი (წერილი)	24
გაწალაშვილი ზ. — წარწერა უავარჯენზე (მოთხრობა)	6	ანი სი	26
ძორძია რ. — არწივი (მოგონება)	18	ვადაშკორია დ. — ოპერაცია „თხა“ — (მოთხრობა)	27
კონკაშვილი — „ოქტომბერი ჩვენს გულეში“	14	შენი უცხოელი თანატოლები	29
შიშინაძე ბ. — ავღარი. წუწკები (ლექსები)	16	ჯადონსური სარკა	80
გურგენიძე ბ. — შეგებრი, კახს ნატვრა (ლექსები)	16	უცხოური იუმორი	30
წამოზის ანბანი — პატრიოტიზმი და მოქალაქეობრიობა (წერილი)	17	გამოგაღვაძი	82
სტრელკოვა ი. — ხუთნაფოტა ტივი (მოთხრობა. თარგმანი		უურადღება, სტარტუი	8 83.
		„ცხრაკლიტული“	გარეკ. 8 83.

ბარბანის პირველ გვირგვინ მანანა მორჩილას ნახატი — „შემოღობა“.



საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობა


ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 82-97-05 93-31-81; ანგ. მდივნის 88-97-08 93-53-05; განყოფილებების — 83-97-02 93-97-01

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაშკორია, ზურაბ ლევაშვილი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარტინი, გიორგი ფოცხვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ ზეგანაძე, სიმონ შამგინი, ლევან ჩიქვანია, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14 «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. გადაეცა ასაწყობად 25/VIII-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/X-77 წ. ქილაღის ფორმატი 60x90/8. ფიზიკური ნაბეჭდი დურცელი 4. სააღრეცხვო-საგამოცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 2653. ტირ. 146.900. უფ. 08899.

უახი 20 კაპიტო



ყურადღება, სპორტზე!

პირველი კომპლექსი

1. ერთ ადგილზე ნელა იარე, ხელები თავს უკან შემოიწვე, მუხლები რაც შეიძლება მაღლა ასწიე, იდაყვები შეაერთე — ჩაისუნთქე, გაშალე — ამოისუნთქე. თავი არ დახარო, წინ იყურე.

2. ხელებით წრე გააკეთე. ხელები იდაყვებში გაშლილია. როცა ხელები ძირს დაეშვება, რბილად, ოდნავ ჩაბუქნე.

3. ფეხები ფართოდ გაშალე. ჩაჯექი ცალ ფეხზე, მერე მეორეზე, წინ არ გადაიხარო, თავი არ დახარო.

4. ცალ ფეხზე დადექი, მეორე ფეხის წვივზე ხელი მოიკიდე და უკან გასწიე. ფეხი რაც შეიძლება მაღლა ასწიე, უნდა იგრძნო ზურგის კუნთების დაძაბვა.

5. დაოთხილმა ცალი ხელი და ცალი ფეხი მაღლა ასწიე. (მარცხენა ხელი, მარჯვენა ფეხი და ა. შ.), მერე უკან გადაიხარე და ჩაიჩოქე ისე, რომ ხელები იატაკს არ მოაცილო.

6. ჩოქელა (მუხლისთავები მიტყუპულია, ტერფები გაშლილი), მარცხენა ხელით მარჯვენა ტერფს შეხე, მარჯვენათი — მარცხენას.

7. გულაღმა დაწეკი, იდაყვებს დაეყრდენი, ფეხები მაკრატელივით ზევით-ქვევით აქნიე. მუხლები არ მოხარო, ფეხებს ნურც ძალიან მაღლა ასწიე, ნურც იატაკს შეახებ.

8. მუცელზე დაწეკი, რიგრიგობით ასწიე გამართული ფეხები. შემდეგ ერთდროულად, ხელებიც აიქნიე მაღლა და ფეხებიც (ორივე — გამართული).

9. გულაღმა დაწეკი. ხელები გაშალე. ასწიე, მარცხენა ფეხი და თითის წვერებით ხელს შეეხე. ფეხები

სწორად უნდა გეჭიროს. ეს, ცოტა არ იყოს, რთული ვარჯიშია, მაგრამ მაინც სცადე და მალე მიეჩვევი.

10. დაწეკი გულაღმა და გააკეთე ხიდი (ესეც რთული ელემენტია), დათვალე 2-3, დაუბრუნდი საწყის მდგომარეობას, ისევ გაიმეორე 4-6-ჯერ.

11. სწორად დადეკი, გამართული ფეხი მაღლა აიქნიე. შემდეგ დაიხარე და იატაკს ხელები შეახე.

12. ადგილზე სტომა თითის წვერებზე. ფეხები გაშლილია და გადაჯვარედინებული (იხ. დიაგრამა).

სსიპ სსიპ სსიპ
 პასუხისმგებელი
 № 9-ში მოსთავსებულ
 „ცხრაპლიტულზე“
 გამოცანები
 1. ფუტკარი.
 2. ჯარი.

ქვემოთ
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა




კონკურსი
 „ოქტომბერი
 ჩვენს
 გულეფში“



ივრიში
 ჯამთრის
 სასახლეში.

თემურ
 გომიფვილი

გურჯაანის
 რაიონი,
 შაშიანის
 საშუალო
 სკოლა,
 VI
 კლასი.



დიდება
 ოქტომბერს.
 (აკლიკაცია)

იური
 გოლოვინი

თბილისის
 ვვ-ე
 საშუალო
 სკოლა,
 VIII
 კლასი

